



# ილორი

www.ilori.ge



№ 76 (137) 20 ივლისი 2010

სახალხო

მოკრობა

“სამეგრელოს” ორგანო

30 თეთრი

## ისტორიის ბაყალბა უბედურობის ბამოვლენასა...

3 **როლანდ ჯალაღანია,**




## კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

ბაზეთი “ილორი” უბეზა რეპრეზენტაცია “მსოფლიოს დიდი უბედურებები”



**რაიმონ ბრენი**  
**კაულ ბრაიტენერი**  
**ბილი ბრემერი**

12



**მებრული**  
**ჰოეზიის**  
**რეფსოდია**  
**კოეტი**  
**ლაშა**  
**ბახარია**

5

## რა მნიშვნელობა აქვს რა გზით მოვა ფული!

10 **ლავით შოთაძე, კობლენცი, გერმანია**

## როგორც მოვა, ისე წავა...

საქართველოში ჩამოვიდა და მალევე გაფრინდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი, ისე, რომ დიდი იმედისმომცემი ვერაფერი დაგვიბარა!

პილარი კლინტონმა ის მაინც მოახერხა, რომ რუსები “ოკუპანტებად” მოეხსენებინა, კუშნერმა კი “დაგემოდგრა”: მხოლოდ “ოკუპანტის” ძახილი საქართველოს სასურველ შედეგს ვერ მოუტანს, საჭიროა რუსებთან დიალოგი!

ასე, რამდენიმე სიტყვით ჩაუყარა წყალში კუშნერმა სააკაშვილს ორწლიანი “ჩალიჩი” იმაზე, რომ საერთაშორისო ლექსიკაში მყარად დაემკვიდრებინა ტერმინი “რუსული ოკუპაცია”!

შე დალოცვილო, ბერნარდ, ამის სათქმელად თბილისში რომ არ ჩამოსულიყავი, პარიზიდან ვერ შემოგვითვლიდი?!

ნუთუ კიდევ ვერ დარწმუნდნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, რომ რუსებს არავითარ დიალოგზე წასვლა არ უნდათ სააკაშვილთან, რადგან საერთაშორისო დამნაშავედ მიიჩნევენ მას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ მართლა რუსეთთან დიალოგი და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება სურს, საქართველომ ჯერ სააკაშვილი და წურბელებად ქცეული ნაციონალები უნდა მოიშოროს თავიდან! სხვაგვარად (ახალი ომის გზით), ტელეარხ “იმედზე” გადაცემული მოდელირებული გადაცემა საქართველოში რუსული ჯარის შემოჭრისა და სააკაშვილის ფიზიკური განადგურების თაობაზე, შეიძლება რეალობად ექცეს ჩვენს სომხურ ხელისუფლებას. მაგრამ, ამით ხომ კვლავ საქართველოს მიადგება თითქმის გამოსწორებელი ზიანი, რადგან ჩვენი “გაფულიანებული” ხელისუფლება, თავისი მოვერავებულ-ნაოსრალით, უკანმოუხედავად მოკურცხლავს უცხოეთში.

მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილსა და მის “ნაციონალებს” აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე მეტად საკუთარი ძალაუფლება არ ეთმობათ და ცოცხალი თავით არ აპირებენ არსად წასვლას – ის კი არა, “ბოროტი ენები” იმასაც ამბობენ: ნაციონალები კონსტიტუციის შეცვლას იმიტომ აპირებენ, რომ მიხეილ სააკაშვილი ახლა პრემიერ-მინისტრის რანგში შემოასვან საქართველოს თავზე და კიდევ რამდენიმე წელი იბოგინონ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხის მოგვარება კიდევ იმდენ ხანს გაჭიანურდება, რადენ ხანსაც გაგრძელდება სააკაშვილისა და ნაციონალების პოლიტიკურ-ფინანსური დიქტატურა.

ასეთი ხალხი უმტკიცებს მთელ მსოფლიოს: საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვაქციეთო!

ახლა კი, აშკარა პოლიტიკური კრახის შემდეგ, ნაციონალებმა ახალი სატყუარა შეაჩერეს გაცუცურაკებულ ქართველ ერს – ფაქტია, რომ საქართველოს ნატოში შესვლის სურვილმა ჩაიღურის წყალი დალია და ახლა იძახიან: ევროკავშირის სრულ წევრად თუ არა, ასოცირებულ წევრად მაინც მიგვიღებენო!

ჯერ ევროკავშირის ნამდვილი წევრობა რა ბედენაა, რომ ახლა ასოცირებული წევრობის მოლოდინში ვიბდავლოთ იმედიანი სიხარულით!

თუ ხალხი იმდენად დაძროსებულია, რომ ასეთი ილუზორული შეპირებებით მიიჩნევენ თავს ბედნიერად, მაშინ ის მართლაც ყოველგვარ დამცირებას იმსახურებს.

რა, არა ვართ დამცირებულები და შეურაცხყოფილები?!



## ივანე ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორია

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩინეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.

9



# კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იხადით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწევრებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ერთმანეთს პაატა ჭურდლოვანის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური აღბოძი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა აღწერილია. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომათარაქტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის ძალზე დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.



აღათი ელიზბარის ასული დადიანი-შარვაშიძისა

### ბრძოლ შარვაშიძემ-ჩახაზს და აღათი დადიანის ოჯახი

როცა ვისხვებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, გამორჩენილ პიროვნებებს, მათ ვინც ამაგი დასლო ქართველი და აფხაზი ხალხის კულტურული, ნათესაური თუ მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას, შეუძლებელია გვერდი აუაროთ გრიგოლ შარვაშიძისა და მისი დიდი ოჯახის წევრთა პიროვნულ დამახაზრებასა და ღვაწლს.

გრიგოლ დადიანის ძე შარვაშიძე-ჩახაზი (1818-1898) – აფხაზეთის მთავართა შთამომავალი, დროის შესაბამისად განათლებული, მშობელი ხალხის ჭეშმარიტი ჭირისუფალი, მის ყოველ სატკივარსა და საფიქრალზე მზრუნველი, მრწამსით, თვალთახედვით ჭეშმარიტი პატრიოტი, ამავე დროს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი იყო და დიდძალ დაფასებული იმპერატორებისაგან. პროფესორი ოთარ ჭურდლოვია აღნიშნავს: "იგი ბევრის მონასწრე და მნახველი იყო. მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ მის თვალწინ ჩაიარა. თვითონ გახლდათ უშუალო მონაწილე იმ რთული და საბედისწერო ცხოვრებისა, რომელიც თავს გადახდა აფხაზ ხალხს XIX საუკუნის მანძილზე" (ოთარ ჭურდლოვია, "შარვაშიძეები", თბ. 2004, გვ.5).

გრიგოლ შარვაშიძეს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული და არაერთ სასტიკ ბრძოლაშიც მონაწილეობდა. ამავე დროს, მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი პირველი აფხაზური ანბანის შექმნაში. თავად ცოდნისმოყვარე, დიდად მოწადინებული აფხაზეთში განათლების სისტემის ფართო ქსელის დასამკვიდრებლად, მჭიდროდ თანამშრომლობდა "ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" თავკაცებთან. აფხაზეთში თითქმის ყველა ცნობილი საგვარეულოს ნათესავი,

გრიგოლი, არაერთი ქართული არისტოკრატიული ოჯახის ახლოგეიცი გახლდათ. აღსანიშნავია მისი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები გამორჩენილ ქართველ საერო თუ სასულიერო მოღვაწეებთან, რომელთა შორის ბევრი თანამოაზრე, მრჩეველი და პატივისმცემელი ჰყავდა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, რაფიელ ერისთავი, თედო სახოკია, იონა მეუნარგია, ნიკო ტარიელის ძე, დავით და კოწია გიორგის ძე დადიანები, კონსტანტინე დადეშქელიანი, გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, გრიგოლ დადიანი, ეპოქის ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები. ძალზე დიდა ეს ჩამონათვად.

ამ ურთიერთობის დამამტკიცებელი არაერთი დოკუმენტი აქვს მოძიებული და გამოქვეყნებული თავის ნაშრომებში პროფესორ ოთარ ჭურდლოვას. ამჟამად, დიმიტრი ყიფიანის ერთ წერილზე მივაპყრობ თქვენს ყურადღებას.

ხელისუფლებისაგან, ეროვნული ინტერესების თავგამოდებული დაცვის გამო, ათვალწუნებული დიმიტრი ყიფიანი გრიგოლ შარვაშიძეს 1884 წელს სწერდა:

**"შენ აღმიდგინე ისევე ეს იმედი, შენ გამიცხოველე და გულდამშივადებული ვარ, რომ ისევე შენი ძველი მეგობრობა, 47 წლის მეგობრობა, გამიმართავს ხელს და დიდის განსაცდელისაგან გამომიყვანს.**

**ხორციელი კაცი არ იბოგება ქვეყნად, რომ იმედი მქონიყოს იმისი, როგორც შენი მამკეს.**

**შენი უერთოვლესი და ძველი მეგობარი დიმიტრი".**

აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკურ სინამდვილეში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო გრიგოლის მამა, აბუყის მფლობელი, ალი-ბეი (ალექსანდრე) ბექირ-ბეის ძე შარვაშიძე. დედა – კესარია ნიკოს ასული დადიანიც განათლებული, დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ყოფილა. როგორც თანამედროვენი აღნიშნავენ, მთავარსა და ალი-ბეის შორის არსებული განხეთქილება სწორედ კესარია დადიანის უშუალო ჩარევის შემდეგ განვითარდა. კესარია დადიანის ინიციატივით მთავარი მიხეილი მის ძმისშვილზე ალექსანდრა (ცუცუ) გიორგის ასულ დადიანზე დაქორწინდა. ამ ოჯახის დიდ ავტორიტეტზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მთავარმა უფროსი ვაჟის გიორგის აღზრდა მათ ანდო. ასე რომ, გრიგოლი და აფხაზეთის ტახტის მემკვიდრე, პოეტი გიორგი შარვაშიძე ბიძიშვილები იყვნენ, რაც იმ ეპოქაში სისხლისმიერ ნათესაობაზე უფრო ფასობდა. გრიგოლის სიძე, დის ქმარი იყო სვანეთის მთავარი მურზაყან დადეშქელიანი. მამია ჯამბაკურ, ტელემაკ და ვახტანგ გურიელები მისი დეიდაშვილები იყვნენ, ხოლო დავით დადიანისაგან **"სამეგრელოს მუშაკტერებად"** წოდებული გიორგი, ბესარიონ და პეტრე დადიანები – ბიძები.

ალი-ბეის შედარებით ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალების შემდგომ აბუყის ოლქს კესარია დადიანი განაგებდა და თავისი გონივრული მმართველობით აფხაზი ხალხის დიდი სიყვარულიც დაუწახაზურებია.

თანამედროვეებში ფრიად დაფასებული პიროვნება გახლდათ გრიგოლის მეუღლეც, მრავალი ღირსებით შემკული მანდილოსანი – აღათი ელიზბარის ასული დადიანი (1826-1919). ამ ქალბატონმა მთელს აფხაზეთში გაითქვა სახელის თავისი ქველმოქმედებით. მისი ხელ შეწყობით არაერთი სამკითხველი, სამკურნალო, აფთიაქი გახსნილა მრავალჯერ გამართულია სცენისმოყვარეთა წარმოდგენა. იგი კარგა ხნის მანძილზე იყო არჩეული წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების საპატიო თავმჯდომარე. უნდა აღინიშნოს ძველი ლოქის მიერ აფხაზეთში დაარსებული სახალხო გუნდისადმი გაწეული ამავგიც: უადრესად რელიგიური აღათი დადიანი დიდი ტაქტით ერეოდა, რუსი ეპისკოპოსების მმართველობის ქვეშ მყოფი, 1871 წელს დაარსებული, სოხუმის

ეპარქიის ცხოვრებაშიც და მეტ-ნაკლებად ახერხებდა კიდევ ადგილობრივი მრევლის ინტერესების დაცვას.

თანამედროვეებში გრიგოლ და აღათი შარვაშიძეების ოჯახი განათლებით, მოქალაქეობრივი მრწამსით, ცხოვრების წესით, წარსული და თანამედროვე ყოფით ერთ-ერთ სანიშნულო კულტურულ კერად იყო მიხნეული.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის ოჯახის უკლებლივ ყველა წევრის მშობლიური კუთხიდან განსახლების შემდეგ, აფხაზი არისტოკრატის უმთავრეს მიზნად მშობელი ხალხის გადარჩენა იქცა. ვინაიდან რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზ ხალხს ლალატში დასდო ბრალი, **"დამნაშავე ვრად"** გამოაცხადა და გუგუზომიერად შეუდგა შავი ზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობის თურქეთში მასიურად განსახლებას. ერთ მუშტად შეკრული აფხაზთა თავაკაცობა ძალისხმევას არ იშურებდა, რათა მშობელი ხალხი ესხნა განსაცდელისაგან. იცოდნენ რა, უძლიერეს რუსულ იმპერიასთან ამკარა დაპირისპირებით დასახულ მიზანს ვერ მიღწევდნენ, ცდილობდნენ პოლიტიკური სუხის, თუნდაც ნაწილობრივ, შესამსუბუქებლად პეტერბურგსა და მოსკოვში დამკვიდრებული აფხაზი და ქართველი საზოგადოება სახლო მოკავშირე ვეულეობდათ. ერთი მხრივ, ქართული პრესისა და საზოგადოების აზრის, მეორე მხრივ, აფხაზეთში ქართველი სამეფელოების მოღვაწეობის გააქტიურებამ ის შედეგი გამოიღო, რომ უმოკლეს დროში, 18.000-მდე აფხაზი ქრისტეს რჯულზე მოიქცა, რამაც იმერეთის ეპისკოპოსს გაბრძოლ ქიქოძის საფუძველი მისცა პირადი თხოვნის მიემართა ალექსანდრე II-სათვის, რათა ქრისტიანი აფხაზები მაინც დაეტოვებინა სამშობლოში. ამ შუამდგომლობამ და სხვა, გაუხმაურებულმა დიპლომატიურმა ქმედებებმა საბედნიეროდ, აფხაზთა ნაწილს მაინც აცდინა მუჰაჯირობის ტრაგედია.

გრიგოლ შარვაშიძესა და მისი ოჯახის წევრებს საგრძნობი წვლილი მიუძღოდათ ამ ისტორიული მისიის აღსრულებაში. გრიგოლს, ისევე როგორც მის წინაპრებს, საქართველო სამშობლოდ, ხოლო ქართველები მშობად მიიჩნდა და იგი მთელი ცხოვრება ამ მრწამსს ემსახურა.

ამავე რწმენით იყვნენ გამსჭვალული მისი შთამომავლებიც. ამ ტრადიციას შვილებისა და შვილისშვილების სახით ღირსეული გამგრძელებლები ჰყავდა. მწიგნობრული აღზრდა, ზრდილობის ძველებური წესები, სარაიოდ სკოლის აღათი. აი, ყოველივე ის, რითაც შეგვიძლია დავახასიათოთ ისინი – თითოეული მათგანს გულთნ ფიცარზე ეწერა სამშობლოს

ყოველი სატკივარი. მის მრავალრიცხოვან შთამომავლობაზე უამრავი საინტერესო ამბის მოყოლა შეიძლება, მაგრამ ჩვენ უპირველესად უფროსი ვაჟები, ერთ ოჯახად მცხოვრები ივანე (1847-1906), ალექსანდრე (1854-1932) და კონსტანტინე (1858-1914) შარვაშიძეები უნდა მოვიგონოთ. სამივეს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული. არაერთი საბრძოლო შეტაკების მონაწილე ოფიცრებს მკერდი ჯილდოებით ჰქონდათ დამშვენებული, მაგრამ ალექსანდრეს, ჯარისკაცისთვის განკუთვნილი, ორი გიორგის ჯვარით მთელი საგვარეულო ამყობდა. მამასავე ით შეიღებმაც ქართველ ქალბატონებზე დაიწერეს ჯვარი. ივანეს მეუღლე ტერეზია ნესტორის ასული ჩინუა იყო, ალექსანდრესი – გაიანე იოსების ასული თარხან-მოურავი. კონსტანტინეს, მეფე ერეკლე II-ის შთამომავალი, მარიამ დავითის ასული ქობულაშვილი უმშვენებდა გვერდს. მეოთხე ძმა მიხეილი ყმაწვილობაში გარდაიცვალა. ქალიშვილებიდან კესარია (1849-1906) უშანგი ალექსანდრეს ძე დადიანზე გათხოვდა. ალექსანდრა ჯერ ემილიან აპოლონის ძე ძიავში იყავა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, დიმიტრი მანუჩარის ძე შარვაშიძის მეუღლე იყო. ანა (დესპინე) (1855-1913) ლევან გორჯასასის ძე გელოვანის თანამეცხედრე ჰყავდა. სოფიო – სოფლას ზოუსხანის ძე ინაღ-იფანი. სალომე (1864-1942) ელიზბარ ბეჟანის ძე მხეიძის მეუღლე გახლდათ.

ალექსანდრეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში, მეუღლე ტრავატიკულად დაეღუპა და მას შემდეგ ცოლი არ შეურთავს. პირველი სიყვარულის ერთგული დარჩა. სასახლეო იყვნენ გრიგოლის შვილისშვილებიც. იმდროინდელი საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი გიორგი (გოგლიკა) და ალექსი შარვაშიძეების სახელები. ივანეს ქალიშვილებს, კდეშითა და სილამაზით განთქმულ მერისა (მაშა) და ვერას ხომ მოხიბლული ჰყავდათ აფხაზ-ქართველნი. იმპერიის მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწეანი გახდნენ ვლადიმერ (კუჭიკო) და კოწია გელოვანები...

ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, ახალგაზრდა არისტოკრატები რევოლუციონერული იდეებით რომ შეაყრობიდან და სახალხოდ უარყვიათ წინაპართა განვილი გზა და დამსახურება, თუმცა, გარკვეული ეტაპის შემდეგ, მათი უმრავლესობა იმავე რევოლუციას უმსხვერპლია. გამონაკლისი არც გრიგოლ შარვაშიძის შვილისშვილი, სოფიოს ვაჟი ალექსანდრე ინაღ-იფა აღმოჩნდა. იგი თვალსაჩინო აფხაზი სოციალ-დემოკრატი იყო და განსაზღვრების შემდეგ მალაღი პარტიული თანამდებობებიც ეჭირა, მაგრამ 1930-იანი წლების რეპრესიების შეეწირა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



აფხაზ თავდაზნაურთა ერთი ჯგუფი

# ისპორიის გაყალბება უმაღურობის გამოვლენასაა...

არაფრის ისე არ მემინია ამ ქვეყნად, როგორც უმაღური ადამიანის!

იცით, რატომ? როცა ვინმეს პარტივს სცემ, გასაჭირიდან დაიხსნი და დახმარების ხელს გაუწვდი, როგორც წესი, უბრალო მადლობის სიტყვას მაინც იმსახურებ მისგან. მაგრამ როცა შენგან პარტივაცეში ადამიანი შენს მიერ გადახდილ მადლს ვერ დაინახავს, მაშინ იძულებული ხდება შეახსენო მას, რომ შენთან ვალშია და უკვე შენ თავად გამოდიხარ დამმადლებელი, რაც უმაღურობაზე ნაკლები ცოდვა არ გახლავთ. ამრიგად, უმაღურ კაცთან საქმის დაჭერა ისეთ სიტუაციაში გაყენებს, საითაც **გაეიტკეცა, იქ წაიქვიცაო.**

სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსები, როცა გაიგეს, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგების დაწყებითი კლასებისათვის ამზადებს სახელმძღვანელო: **“რუსული ოკუპაციის ორასი წელი”**. სურათის ისე დახატვა, რომ ორასწლიანი ურთიერთობის განმავლობაში რუსებს სიბოროტის მეტი არაფერი გაუკეთებიათ საქართველოსათვის, შეიძლება მართლაც უმაღურობის კლასიკურ ნიმუშად მივიჩნიოთ! საქართველო-რუსეთის შორის გაღებული ხიდი რომ მთლად სიბოროტის განსახიერება არ არის, იმ ისტორიკოსებმაც კარგად იციან, რომლებიც აღნიშნული სახელმძღვანელოს შედგენაზე მუშაობენ, მაგრამ ჩვენ **“რუსეთისმიმბოღლე”** ხელისუფლების შეკვეთა აქვთ, რომ ჩრდილოეთი მეზობლები რაც შეიძლება უარყოფით პლანში წარმოაჩინონ, **“სახელისუფლებო ძალა”** (განსაკუთრებით – ფული) კი, როგორც მოგახსენებთ, **“ისტორიულ ყანებს დადამკ ხნავს და აღმაც”!**

ქართული საზოგადოების პროგრესულ ნაწილს სრულიად არ სურს უმაღურად წარმოჩინდეს მსოფლიოს მეცნიერთა თვალში, რომელთაც ძალიან კარგად იციან, რომ საქართველო-რუსეთის 200-წლიან ურთიერთობაში უფრო მეტი პოზიტივი იყო, ვიდრე ნეგატივი. მაგრამ, როცა არის სერიოზულად დაფინანსებული შეკვეთა, იქ ისტორიული რეალობა უკან იხევს და წარმოჩინდება მხოლოდ ის ფენომენი, რომელიც შექვეითის ბნელ სურვილებს აკმაყოფილებს. ნათელია, რომ ქართული-რუსული ურთიერთობებში განხეთქილების კიდევ ერთი სოლის ჩაჭედება მხოლოდ საქართველოს იმ მტრების წისქვილზე შეიძლება ასხამდეს წყალს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში მოქმედებენ **“გათიშე და იბატონეს”** პრინციპით. და თუ ჩვენ ვგაქვს იმის სერიოზული ეჭვი, რომ დღეს საქართველოს მოსოხო ხელისუფლება აშკარად მტრობს ქართველ ხალხს, რატომ არ შეიძლება რუსეთის ხელისუფლებაში იყვნენ მოკალათებული ადამიანები, რომლებიც ასევე მტრობდნენ რუს ერს? სწორედ ამ ორი, ისტორიულად თანამდებარე ერის დამოკიდებულებაში განხეთქილების შეტანა გაუადვილებს ამოცანას ჟიდო-მასონებს – ცალცალკე გაუსწორდნენ მათ დაუნდობლად. თუ ჩვენ და რუსებმა ეს ვერ შევიმეცნეთ, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ მტრობა და ერთმანეთისათვის ლაფის მიწვევა მომავალში სიბოროტის არაფერს გვიქადის!

ჩვენ არასოდეს გვიმტკიცებია ცალმხრივად, რომ ისტორიულად რუსები ყოველთვის მართლები იყვნენ ქართველებთან მიმართებაში. პირიქით, არა მგონია, რომ ჩვენზე მეტად ვინმეს გაეკრიტიკებინოს რუსები ზოგჯერ საქართველოსადმი არც მთლად კეთილმეზობლური თვისებების გამოვლენის გამო. ამ სიტყვების დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩვენი წიგნები: **“სამედლიანი ომი...”**, **“ჭეშმარიტება და სომხური სიმართლე”**, **“ეთქათ სიმართლე, ვიფიქროთ მომავალზე”**, პეტრე გელეიშვილის **“წითელი წიგნის”** თარგმანი და წინასიტყვაობა და სხვა. მაგრამ, კრიტიკასთან ერთად ჩვენ იმასაც ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ სწორედ რუსებთან თანაცხოვრების ორასი წლის განმავლობაში გადარჩა საქართველო და ერთ დროს დამცრობილ-გაღატაკებულ ჩვენს სამშობლოში არნახული ტემპებით განვითარდა განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა, კულტურა, სამთო-მომთხრობითი, მძიმე და მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, სოფლის მეურნეობა... განა შეიძლება ამის დაიწვიება? ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აფრთხ-

ილებდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველინკო, რომ კავკასიის ურთულეს, მუდმივი პოლიტიკური დაძაბულობის რეგიონში რუსეთის ერთ-ერთი საყრდენი ძალა საქართველო გახლავთ და სწორედ ქართველებს უნდა ვენდოთ და გაუფრთხილდეთ. ვიდრე რუსეთის ამ სტრატეგიის ერთგულად რჩებოდა, კავკასიაში მას ურყევი პოზიციები ეკავა. მაგრამ, როცა გაჩნდა (ისიც რუსეთში მოკალათებული, სახემწინდელი გარკვეული პოლიტიკური ძალების მცდელობის შედეგად) სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სინდრომი, კავკასიაში რუსეთის პოზიციებიც მნიშვნელოვნად შეირყა.

მსოფლიოს სპრუტით შემოგრაგნილი ჟიდო-მასონებისა და რუსეთის რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლის მსურველთა ბოროტი ნებით კავკასიაში ომი და დაუნდობელი ტერორიზმი დღესაც მძინვარებს, რაც კარგა არაფერს მოასწავებს ამ რეგიონისათვის. და სწორედ ახლა უნდათ რუსეთისა და საქართველოს მტრებს განხეთქილება შეიტანონ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში, რათა საქართველოს დახმარებით რუსეთმა ვეღარ აღიდგინოს ძველებურად მყარი პოზიციები კავკასიაში. ახლა, რაც შეეხება თავად ისტორიულ ფაქტებს.

ვერცერთი ისტორიკოსი ვერ უარყოფს იმას, რომ მე-18 საუკუნის დასასრულსისათვის საქართველო დაშლად განადგურების რეალური საფრთხის წინაშე იდგა. მრავალჭირნახული ქვეყანა სულს დაფავდა ოსმაღლეთ-სპარსეთის განუწყვეტელი შემოსევებით და ლეკიანობის მძლავრი დაწოლით. თვით ქართველი თავად-აზნაურები სწადიოდნენ ამასრუნე საქცივლად და ქირაგებულის (კვლავ ქართველი) ყანალების მეშვეობით იტაცებდნენ გოგობიჭებს და სტამბოლის ბაზარზე მყიდდნენ მათ. ამ სამარცხვინო **“ინდუსტრიას”**, რომელიც მუდამ შავ, სამარცხვინო ლაქებზე შერწყმა ჩვენს მდიდარ წარსულს, თვით მეფეებიც კი ვეღარ უმკლავდებოდნენ. ქვეყანა დიდი სისწრაფით მიექანებოდა უფსკრულიცა და ამ ჭირისაგან თავის დახსნის გზა აღარ ჩანდა. საქართველოს გადარჩენისათვის ქართველებსაც აღარ ეჯერათ, რასაც ერთ უადრესად ამასრუნე, სამარცხვინო და დასაძრახი ფაქტი მეტყველებს.

კრწანისის ომში ერეკლე მეორის დახასმარებლად წამოსული იმერელთა ლაშქარი დროზე მიხვდა, რომ ქართველები სპარსელების ვერ დაამარცხებდნენ, თვითნებურად მოისხენ საომარი პოზიციებიდან, ჯერ დაუცველ თბილისს მოედვნენ და გაძარცვეს, შემდეგ კი ხაშურამდე სოფელი არ დატოვეს გაუძარცვავე, ტყვე ქართველებიც ბლომად **“გააყოლეს ხელს”**, რომლებიც შემდეგ თურქებს მიჰყიდეს (სწორედ ამას უამბობენ: **“სახლი გვეწოდეს, ხელი მაინც გაითბეთ”**). როცა აღ-მაჰმად ხანის ჯარები დაუცვე თბილისს შემოესივნენ, იქ გასაძარცვი და წასადები უკვე აღარაფერი დახვდათ და ამით გაცოფებულიმა ქალაქის მოსახლეობის მეტი წილი, მათ შორის მათი ერთგული სომხებიცა და მუსულმანებიც დაუნდობლად ამოჰლიტეს.

გეთანხმებით, უადრესად სამწუხარო და სამარცხვინო ფაქტია, მაგრამ იგი მოხდა და დაწვრილებით აღწერა თავის წიგნში გენერალმა ქიშიშოვმა (ამის თაობაზე, რატომღაც, პროფესორ-ისტორიკოსებს გამცემლიძეებს, ფუტკარაძეებს, ლორთქიფანიძეებსა, ლომოურებს და სხვებს, რომლებიც ბუხის საკლავით დასდევენ მეგრულ ენას და ურცხვად ამტკიცებენ, რომ მეგრული, სვანური და ლაზური ენები მხოლოდ დაიღუპნენ, პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. აუცილებელი კი არის, რომ ვიდაცამ, თუნდაც ორასი წლის შემდეგ მაინც მოიხადოს ბოლიში ერის წინაშე ჩვენს თამამულთა ამგვარი არაადამიანური საქციელის გამო. როგორ ფიქრობთ, ესეც რუსეთის იმპერიის კარნახით ჩაიდინეს იმერლებმა? მაგრამ ეს ხომ იმის ირბი დადასტურებაც იქნება, რომ საქართველო რუსეთის თანადგომის გარეშე აუცილებლად დაიღუპებოდა, რაც არ შედის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლის ეგემებში, რომლებმაც ამავე დროს ბოლიში მოუხადა ქართველებს სომეხი ნახარების, მეფე ერეკლეს მიერ შეკედლებული და აღზევე-

ბული აბო და მეჯნუნის უბატონებელი საქციელისათვის, რომელთაც ასევე უღალატეს მათი გაჭირვების თანაზიარ და მფარველ მეფე ერეკლეს და აღ-მაჰმად ხანის ჯარს შემოუძღვენ თბილისში.

როგორ გგონიათ, ასეთი მდგომარეობა არ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო ავინაში იმყოფებოდა და საკუთარი ძალებით ქვეყნის გასაჭირისაგან დახსნა თვით ბრძენ მეფე ერეკლესაც აღარ შეეძლო. სწორედ ამან განაპირობა მისი საბოლოო გადაწყვეტილება, რომ ერთ-მორწმუნე რუსეთს შეერთებოდა და საქართველო გამუსულმანებისა და საბოლოო განადგურებისაკენ გადაეყენა. ნუთუ ვინმეს შეუძლია შეიტანოს ეჭვი იმ საბედისწერო გადაწყველებაში, რაც ელოდა საქართველოს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ქვეყანა ძლიერი და ერთმორწმუნე რუსეთის ფრთას არ შეფარებდა თავს? რეალობა კი ასეთია – სხვაგვარი არჩევნის შემთხვევაში დღეს ყველა ქართველ მამაკაცს თავზე ჩაღმა ექნებოდა ჩამოფხატული, ქალები კი ჩადრებში იქნებოდნენ გახვეული და ჩვენს ქვეყანაში, დილით, ხალხს **“ჩაერულოსა”** და **“მრავალჯამიერის”** ნაცვლად მინარეთზე მამალი თვის შემოსეკებული შეუძინის კვილი გაადვილებდა...

**“ზოგი ჭირი კეთილად”** – გემოდვრავს ძველქართული სიბრძნე: ვინ იცის, მუსულმანური სამყაროს ნაწილი რომ გაემხდარიყავით, სომეხი ასე თილად ვერ იპარაშედნენ საქართველოში და ვერც ჩვენი რელიგიურობისა და სულიერების შერყევას გაბედადნენ, რადგან, როგორც ცნობილია, ჟიდო-მასონები ვერასცხით ვერ იკიდებენ ფეხს მუსულმანურ ქვეყნებში.

ეს ხუმრობით და ჭირის სიცილით, თორემ ქართველ ადამიანს ქრისტიანობაზე მეტად სიცოცხლე რომ ეთმობა, ამის დასტური ის ასი ათასი წამებული გახლავთ, რომელთაც ჯალალედინის შემოსევის დროს ლვოს წმინდა ხატზე ფეხის დაბიჯებას და ქრისტიანობაზე უარის თქმას სიკვდილი არჩიეს.

სხვა რომელ ქვეყანას აყავს რწმენას შეწირული ასი ათასი წამებული?

რა თქმა უნდა, დიდ დანაშაულზე წავიდა რუსეთის იმპერია, როცა საქართველოში სამეფო მმართველობა გააუქმა და იგი რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად აქცია, რასაც უკმაყოფილო ქართველთა არაერთი ამბოხი მოჰყვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ მე-19 საუკუნე იქცა ქართული გონის რენესანსად, მოზღვანდა შემოქმედობა და მეცნიერთა მთელი პლეადა და სწორედ ამ საუკუნეში მომწიფდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის იდეა.

თქვას რომელიმე ისტორიკოსმა, რომ ეს ასე არ არის!

ახლა, რაც შეეხება დღევანდელ რუსულ ეკლესიას და მის აშკარად კეთილდამოკიდებულებას ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიისადმი!

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან, 200 წლის წინათ, რელიგიის სფეროშიც ჰქონდა ადგილი რიგ ნეგატიურ ქმედებებს, რაც რელიგიურ დანაშაულად შეიძლება შეფასდეს. ჯერ იყო და რუსმა სასულიერო პირებმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს, ტაძრებიდან და მონასტრებიდან გახიფეს საეკლესიო რელიკვიები და გადათხივნეს უძველესი ფრესკები. ამავე დროს, ერთ-ერთმა რუსმა ეპარქოსმა მთელი ქართველი ერის დასწყველა იმტომ, რომ ქართველმა სტუდენტმა ლადია შვილიმა მოჰკლა სასულიერო სემინარიის რექტორი რეაქციონერი ჩუღუცკი. მაგრამ ეს წყველა მისმა მომდევნო ეპარქოსმა თანამდებობის დაკავებისთანავე მოხსნა. რუსული ეკლესიის მიერ ჩადენილ დანაშაულზე არაერთგზის დაივიწყა და ამაზე არც რუსები დაობენ. რაც შეეხება ბოლშევიკების პერიოდში ეკლესიების განადგურებას, ამ პერიოდში საქართველოზე მეტად რუსეთი დაზარალდა, რადგან იქ ძალიან ცოტა ეკლესია გადაურჩა გაძარცვასა და დანგრევას.

დღეს კი, სულ სხვა სურათი გვაქვს. როგორ შეიძლება აუგის თქმა იმ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე, რომელმაც არ გაიზიარა რუსეთის სახელმწიფო ღმრის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და

სამაჩაბლოს აღიარებაზე და დღესაც, პრინციპულად, საქართველოს ერთიან რელიგიურ სიბოროტედ განიხილავს!

ისიც გავისხენოთ, თუ მუსულმადმდგრები როგორ შეჰპირდნენ რუსეთის ხელისუფლები უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს სახსერის რაიონის სოფელ პერვედიან რუსული ჯარის ნაწილების გაყენას, და რომ არა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლის მაშინდელი ქედმაღლეური და უაზრო განცხადებები ილია მეორის ინსტრუქტირების, რუსების დაშინების და მათ მიერ უკანდახვევის თაობაზე, ეს ლამაზი სოფელი ახლა ჩვენს იურისდიქციაში იქნებოდა მოქცეული.

როგორ გგონიათ, რუსული ეკლესიის ამგვარ დამოკიდებულებაში საქართველოს მიმართ, შეინიშნება ოკუპაციის რაიმე ნიშან-წყალი?

რა ექნათ ახლა, ორასი წლის წინ ჩადენილი მომადლებული გაყენებით, გუშინდელი მომადლებული სიკეთე დაივიწყოთ, და ვლანდლო რუსები, იმტომ, რომ ვიდაცას ისინი ეჯავრება და მეზობლის სახელის გატეხვა სურს?

ეს ვერც პოლიტიკურ სივრცეში ეწერება და ვერც ადამიანურში. ამას ადამიანები, ელემენტარულად, უმაღურობას უწოდებენ.

**“თვით ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოც კი ვერ აირიდებს თავიდან ტირანისა და ძალადობას, რადგან სახელმწიფო თავისთავად გახლავთ პიროვნებაზე ძალმომრეობის ინსტიტუტი!”**

– ამტკიცებს ლათინური თქმა. ძალმომრეობას და ისტორიის გაყალბების ფაქტებს ვერც ბოლშევიკები გაქცნენ, მაგრამ, ამასთან ერთად, ჰქონდა უამრავი დადებითი მახასიათებელი, თუნდაც ის, რომ წრესგადასული, შიშობა ხშირად არც თუ სამართლიანი სიმკაცრითა და დაუნდობლობით მათ მიადწიეს იმას, რომ კავის რუსეთზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სულიერად, მორალურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთ ზემოძღვარ სახელმწიფოდ აქციეს. ჩვენ კი, რატომღაც, ბოლშევიკებისაგან მხოლოდ ისტორიის გაყალბება და საზოგადოების ტოტალური მართვის სისტემა შევისწავლეთ. განა ამიტომ არ უწოდებენ **“ნაციონალებს”** ნეობოლშევიკებს?

ამის კიდევ ერთი დასტური გახლავთ საქართველოს ხელისუფლების შეკვეთით შექმნილი სასკოლო სახელმძღვანელო: **“რუსული ოკუპაციის ორასი წელი”**.

რუსეთის დამოკიდებულებაში საქართველოს მიმართ მხოლოდ შავი ლაქები რომ დავიხსნით, ეს არა პოლიტიკური სიბეცვა, არაწინასწარ გამოჩნული პოლიტიკური სიბოროტე და ორივე ეს ფაქტორი საჯაროდ დასაძრახია!

უმაღურობაზე საუბრით დაიწვეთ ეს წერილი. თუ ისტორიულ წიაღსებებს გადავხედავთ, ქართველებისათვის ნამდვილი უმაღურები სომხები და ოსები არიან, რომლებიც მათთვის ისტორიულად მძიმე ეკლესიის მივიღეთ. უპატიონეთ, ფეხზე წამოვყენეთ, ახლა კი სახელს გვიტეხენ საერთაშორისო არენაზე და ქართულ ისტორიულ ტერიტორიებს ყოველგვარი სიყვალის გამოყენებით, უსინდისოდ გვევლებიან.

რაც შეეხება ისტორიას, გარკვეული დაინტერესებული პოლიტიკური ძალების შეკვეთით შერყენილ ისტორიულ სინამდვილეს დიდი დღე არ უწერია. წავლენ ეს შეკვეთები პოლიტიკურ მოუსაველოში და ჭეშმარიტი ისტორიაც აღსდგება!

სიმართლეზე თვალს ნუ დახეუჭავთ, და იმას ნურასოდეს ვიკადრებთ, რომ ისტორიული სიმართლე სიცრუის გამოყენებით გადავფაროთ!

ქართველები, ჭირსა თუ ღმირში, მხოლოდ ობიექტურობის გამოვლენის უნიკალური უნარით ვიყავით გამორჩეული და სიმართლე მაშინაც არ გვემოშობოდა, როცა ჭეშმარიტების გამო სიკვდილის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა!

თუ ეს თვისება დავკარგეთ, მერე ჩვენ ქართველები აღარ ვიქნებით!

**როლანდ ჯალაღანიანი,**  
**“ფაჩისი” აკადემიის**  
**ნამდვილი წევრი**

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო

მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი



1955 წლის 23 თებერვალს კი პარტიის ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი დედოფი, გენერალური პროკურორის მოადგილე ბარანოვი და სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი მოსხენებითი ბარათით ატყობინებენ სკკპ ცენტრის პირველ მდივანს ნიკიტა ხრუშჩოვს:

“ტუპოლევები და საბჭოთა საავიაციო მრეწველობის სხვა გამოჩენილი მუშაკები სსრკ შინაგარე მიერ დაპატიმრებულ იქნენ 1937-1938 წლებში. კონკრეტული საბრალდებო მხილებები შინაგარე მათ წინააღმდეგ არ გააჩნდა და გამოძიება აგებული იყო მათ ჩვენებებზე, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლეოდნენ.

მაგალითად, ტუპოლევისაგან მიღებული იქნა ჩვენება იმის თაობაზე, თითქოს ცენტრალური საავიაციო სახელმწიფო ინსტიტუტის (ცსი) თანამშრომლებისაგან მან შექმნა ანტისაბჭოთა ჯგუფი, რომლებიც შეგნებულად ეწეოდნენ საბოტაჟს და... მავნებლურად დააპროექტეს თითქმის ყველა თვითმფრინავის კონსტრუქცია. ტუპოლევების იზოლირებიდან რამდენიმე დღეში დააკავეს ცსი-ის თითქმის ყველა წამყვანი თანამშრომელი: მიასნიშჩევი, პეტლიაკოვი, ნეკრასოვი და სხვები. ყველა ამ პირმა ძიებისას აღიარა, რომ ეწეოდნენ ანტისაბჭოთა მავნებლურ საქმიანობას. შემდეგ კი, მათმა უმეტესობამ უარი თქვა საკუთარ ჩვენებაზე, როგორც ძალდატანებით აღიარებულზე...

1938 წელს, ეს ხალხი, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, გაგზავნილ იქნა სამუშაოდ სსრკ შინაგარე მინისტრატის სახელმწიფო უშიშროების განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში... მას შემდეგ, რაც შინაგარე მინისტრატის ბერია ჩაუვარდა, მან შექმნა იმის ილუზია, თითქოს ეს ხალხი სტერტირებდა საქმის სასარგებლოდ და მოტყუებდა გზით მიადგა ინსტანციაში (იგულისხმება სტალინი) 307 ავიასპეციალისტის გასამართლებას მათ დაუსწრებლად, სადაც მათ გარკვეული ვადით პატიმრობა მიესაჯათ და აქვე დადგინდა, რომ ამ განაჩენთა გადახედვა მიზანშეუწონელია, რადგან ამას შეუძლია სპეციალისტები მოსწვიტოს სახელმწიფო სათვის უადრესად სასარგებლო საქმეს, რაც სათაოს გახდის განსაკუთრებული ტექნიკური ბიუროს მიერ დასახულის გვერდის შესრულებას... იშვიათობაა რა ამ ყოველს უსუსურ არგუმენტებს, ბერია ასევე უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ დაპატიმრებულთა დანაშაულებრივი საქმიანობა დადასტურებულია და ისინი მხილებულნი არიან ანტისაბჭოთა და ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებში... და აღნიშნავდა, რომ ბრალდებულთა სასამართლოზე გამოყვანას საქმეზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლო, რადგან ისინი, დაპატიმრების შემდეგ, დიდი ხანი იმყოფებოდნენ ერთად და შეეძლოთ შეემუშავებინათ თავის მართლების ერთობლივი ვერსია...

1940 წლის მაისში უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაუსწრებლად განიხილა დაპატიმრებულ სპეციალისტთა საქმე და შეუფარდა მათ სასჯელის სხვადასხვა ზომები...”

შემდეგ კი აღნიშნული გახლდათ, “ძიების მასალები გაყალბდა პატიმრებზე ფიზიკური ზემოქმედების შედეგად”.

მაშ ასე — გამოდის რომ ბერია დოკუმენტურადაა გამოტყდრილი სიცრუესა და სიყალბეში?! გამოდის, რომ ავტორი ცდუნ

ბოდა, როცა ცდილობდა დაეხატა ლავრენტი პავლეს ძის დადებითი პორტრეტი? რომ იგი სრულიად არ არის ტვინოდველი კრავი და შეუძლია სისხაბგლის (თანაც, როგორი სისხაბგლის!) ჩაღვანა ასეთი ღირსეული ადამიანების წინააღმდეგ!

მაგრამ, საქმე არაა ასე უბრალოდ, პატიმრებულ მკითხველო! ტუპოლევები დაპატიმრეს 1937 წლის 21 ოქტომბერს და უკვე 1938 წლის დასაწყისიდან ჩაუდგა სათავეში სსრკ შინაგარე მინისტრატის №29 საკონსტრუქტორ ბიუროს. ასე რომ, თუნდაც 1938 წლის გაზაფხულისათვის ამ ბიუროს უკვე პყავდა საცდელ პოლიგონზე! რა საჭირო იყო მარკოვის დაპატიმრება? იგი ხომ დაპატიმრებამდეც და დაპატიმრების შემდეგაც ერთ საქმეს აკეთებდა — მუშაობდა ტუპოლევთან?! მაგრამ თუ ჩვენ დაპატიმრებულთა ქრონოლოგიას გადავხედავთ, ბევრი რამ ნათელი გახდება.

1937 წლის 21 ოქტომბერს დაპატიმრეს ტუპოლვენი. 27 ოქტომბერს — მეტლიაკოვი, 1 ნოემბერს — მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე გ.ა. ოხეროვი, 2 დეკემბერს — აკადემიკოსი ბ.ს. სტეჟინი, 1938 წლის 10 იანვარს — აკადემიკოსი კონსულტანტი ა.ი. ნეკრასოვი და მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ჩერიომუხინი, 12 იანვარს მთ. კონსტრუქტორის მოადგილე ვ.მ. მიასნიშჩევი და ა.შ.

ეს რიგობა, რომელსაც ხან დღეები აშორებდნენ ერთმანეთისაგან, ხან კი კვირები, მეტყველებს არა ძალდატანებით აღიარებულთა მიღებაზე, არამედ გამოძიების განართულ მუშაობაზე, სადაც დაკავებულიები ნებით აღიარებდნენ დანაშაულს და ასახელებდნენ თანამშრომლებს. ისინი, ვისაც ტუპოლევები საქმე მიჰყავდათ, აღიარებდნენ, რომ იგი იყო ძალიან რთული და თავისებური თვისებების მქონე ექვმტანილი, რომელიც დღეს ხელს მოაწერდა დაკითხვის ოქმზე. მეორე დღეს კი კატეგორიულ უარს განაცხადებდა საკუთარ ჩვენებაზე, ამას “გამოძიებისათვის კვალს არეკას” უწოდებენ. მაგრამ, არაა არავის გეგარს აქ შემთხვევით არ ახსენებს — აღიარების მიღმა ყოველთვის დგას რაღაც კონკრეტული საშიშილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დაპატიმრებათა სერიაში თარიღების ამგვარ თანმიმდევრულად განსხვავებას ადვილი არ ექნებოდა და ყველას ერთ დღეს დაპატიმრებდნენ. მაგრამ, 51 ადამიანი, თვით ტუპოლევების ჩათვლით, დაპატიმრეს სხვადასხვა დროს.

საიდან ვიცი მე დაპატიმრებულთა ზუსტი რიცხვი? ტუპოლევების მიერ ხრუშჩოვისადმი მიწერილი ბარათიდან, სადაც 9-გვერდიან დაწართზე ასახული იყო მონაცემები 51 ადამიანზე.

ვიღაც ალბათ შეამჩნევს — ტუპოლვენი დაპატიმრეს 1937-ში, წერილი კი მან დაწერა 1954 წელს. ამ ხნის განმავლობაში ბერია ალბათ უკვე მეკლარი იყო.

მაგრამ, ჯერ ერთი, მასიურად ხომ არ ამოწყდებოდა ყველა, და მეორეც — ამგვარი ახსნა აქ არ გამოდგება! თანამშრომელთა რეაბილიტაციის თაობაზე შედგენილ ტუპოლევების განაცხადში, მაგალითად, ფიგურირებს ვლადიმერ მიხეილის ძე ტკაბლაკოვი. მაგრამ იგი 1942 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ავიაკატასტროფაში. მაგრამ მისი ჩართვა 51-კაციან სიაში არ დაიწყება.

მაშ ასე, ხრუშჩოვის ნომენკლატურულ-მა “სამეულმა” იცრუა. 307 ადამიანი კი არ დაუპატიმრებია სსრკ შინაგარე მინისტრატის 51 ადამიანი იქნა დაპატიმრებული. ამასთან, ისინი ყველანი დაპატიმრეს ჯერ კიდევ ბერიას ლიუბიანკაზე გამოცხადებამდე და ისინი მხოლოდ ბერიას შინ-

საკომად ყოფნის დროს გაასამართლა სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ. უმაღლესი პარტოკრატიული “ტრიო” კი ჯიუტად აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი მაინც ბერიას ინტრიგების გამო მოხდა. მაგრამ, რატომ მოხდა, რომ სამხედრო კოლეგია საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდა ამ საქმეს? ყველაფერი რომ ნათელი ყოფილიყო და ბერია ნებით წარმართულიყო, მაშინ მაქსიმუმ ორ-სამ დღეში ხომ განაჩენი გამოქვეყნდებოდა. ინჟინრებს კი “დაუსწრებლად” ასამართლებდნენ...

განაჩენის გამოტანის ვადები ზოგჯერ ერთმანეთისაგან წლებით იყო დაცილებული და არც 58 პუნქტით მიყენებული ბრალდება გახლდათ ერთგვაროვანი. ასე მაგალითად, მთავარ კონსტრუქტორ მარკოვის 1939 წლის 14 მაისს მიესაჯა 15-წლიანი პატიმრობა.

მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეები ოხეროვისა და ჩერიომუხინის 1939 წლის 29 მაისს მიესაჯათ 10-10 წელი პატიმრობა.

მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე ბახენკოვს 1940 წლის 28 მაისს მიესაჯა 5 წელი. ხოლო მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე მინკევი და აკადემიკოსი სტეჟინი ამ ამბებიდან სამი წლის შემდეგ გაასამართლეს და პირველს 5 წელი მიესაჯეს, მეორეს კი — 10.

მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეები მიასნიშჩევი და პეტლიაკოვი კი ტუპოლევთან ერთად გაასამართლეს 1940 წლის 29 მაისს, რომელსაც 15 წელი მიესაჯა. არა, აშკარად ტყუიან “ზრუშოვებლები”. და იცით, რატომ ტყუიან?.. რას ნიშნავდა თანამედროვე თვითმფრინავის შექმნა 1938 წლისათვის? ეს ნიშნავდა, რომ მხოლოდ პროექტორებისათვის უნდა დახარჯულიყო: გამანადგურებლებზე — 90-100 ათასი კაც-საათი; მოიერიშებებზე — 100.000 კაც-საათი; ორმოტორიან სწრაფ ბომბდამშენებზე — 220.000 კაც-საათი.

შორეულ ორმოტორიან ავიაციაზე — 320 ათასი კაც-საათი; შორეულ ოთხმოტორიან ავიაციაზე — 470 ათასი კაც-საათი; ორმოტორიან შიდაობლანებზე — 320.000 კაც-საათი.

რაც შეეხება ოთხმოტორიანი ბომბდამშენების ორნახევარ ეკვიპაჟებს (ნახევარი იმსხვერვოდა სტატიკურ სტენზე გამოცდის დროს, კონსტრუქციის სიმყარის შემოწმებისას), აქ უკვე საჭირო იქნებოდა მილიონნახევარი კაც-საათი.

ამასთან, თვითმფრინავი არ არსებობს შესაბამისი ძრავის გარეშე. ამიტომ, თუ ხრუშჩოველთა “ლოგიკას” გენდობით, ავიაკონსტრუქტორებთან ერთად უნდა დაეპატიმრებინათ ძრავების წამყვანი სპეციალისტებიც. ესე იგი, თუ ლავრენტი ბერიას სსრკ შინაგარე მინისტრატის სათვის მოსვლისას ექნებოდა საბჭოთა ავიაციის შემდგომი განვითარების “მონური შრომით” მიღწევის გეგმა, მას ათასობით მძიმე ბრალდება უნდა შეეთხზა, რათა საკონსტრუქტორ ბიუროს მთელი შემოქმედებითი კოლექტივი შეერეკა საბჭოთა შრომ-გასწორებით ბანაკებსა და ციხეებში.

მაგრამ ისინი სხვადასხვა საკონსტრუქტორ ბიუროებში მუშაობდნენ, მხარავი ქალების ჩათვლით, რადგან მათზე ბევრი იყო დამოკიდებული — ხარისხიანი ნახაზები ამ ქალებს უნდა შეეღობინათ და ამოეჭრათ კალკაზე. ასე რომ, თვითმფრინავების შემქმნელები ჩვეულ რეჟიმში მუშაობდნენ და მხოლოდ მათი ხელმძღვანელების ნაწილი კონკრეტული დანაშაულისათვის იყო იზოლირებული. მაგალითად, 1937 წლის 21 ოქტომბრის შემდეგ ტუპოლვენი დიდი ხანი არ გამოჩენილა სტალინის კაბინეტში... მისი მეგობარი, დიდი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე არხანგელსკი (რომლის მიერ შექმ-

ნილ “ანტ-ს” დაუმსახურებლად მიაწვედნენ ტუპოლვენი გვარსაც) არასოდეს ყოფილა შერისხული და ხშირად ესწრებოდა სტალინის კაბინეტში გამართულ თათბირებს. ვის, ვის, მაგრამ განა სწორედ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე არხანგელსკის არ ეკუთვნოდა ტუპოლვენი გვერდით ყოფნა, თუ ბერიას თავის “ვერაგულ” გეგმას ასორციელებდა საბჭოთა საავიაციო მრეწველობაში?

სახვათა შორის, არხანგელსკიც იჯდა, მაგრამ სამუშაო სათათბირო სამუშაო მაგიდასთან და ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა. სადამოს კი შინისაკენ მიეშურებოდა ხოლმე.

მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი! ყველა გასამართლებული მუშაობდა არა ძალაყინით კოლიმის ჯურღმულებში, არამედ ქაღალდით და ფანქრით მოსკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ “რადიოს” ქუჩაზე. მაგრამ ტუპოლვენი და სხვა მრავალი განათავისუფლეს (არა რეაბილიტაციით) მხოლოდ სამამულო ომის დაწყების შემდეგ — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 19 ივლისის დადგენილებით. თუმცა, მათ 10-10 წელი პატიმრობით მიესჯათ, რაც მართალია, მათ, ვინც უსჯიდა და მათაც, ვისაც უსჯიდნენ, კარგად იცოდნენ, რომ მისჯილები მათთვის განკუთვნილ სასჯელს ბოლომდე არ მოიხდიდნენ.

ვიღაც წამოიძახებს: “ასეა, როცა გაუჭირდათ, მაშინვე განათავისუფლეს!” და საქმე არც იმაშია, რომ პატიმრობიდან განათავისუფლებულებს ნასამართლობა არ მოუხსნეს. საქმე იმაშია, რომ პეტლიაკოვი და მიასნიშჩევი ტუპოლევების გამოშვებამდე ბევრად ადრე განათავისუფლეს, და განათავისუფლეს ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე — 1940 წლის 25 ივნისს, ასევე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით!

1940 წლის 29 მაისს, პეტლიაკოვსა და მიასნიშჩევს ისე “მარჯვენს” 10-10 წელი, რომ თვითმფრინავების შექმნის საქმისათვის არ მოუშორებიათ, ორ თვეში კი ისინი უკვე განათავისუფლეს! ესეც შენი “ინტრიგანი” ბერია! სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე კი, მათი განათავისუფლების შუამდგომლობა, სწორედ სსრკ შინაგარე მინისტრატის სახალხო კომისარმა ბერიამ დასვა!

ეგ როგორ, თავად “ინალიზა” კონსტრუქტორების ციხეში გამოსაწყვედედ და შერე თავადვე “ინალიზა” მათ გასანთავისუფლებლად?

რადაც უცნაურია ყოველივე ეს... მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი! ტუპოლვენი, როგორც ლიდერი, ყოველთვის გამოირჩეოდა ეგოცენტრიზმით — ერთ დროს მან საჯდომის ქვეშ ამოიღო მთელი რიგი თვითმყოფადი საკონსტრუქტორ ბიუროებისა. ამას შეიძლება გარკვეული გამართლება მოეძებნოს — თითქოსდა ამ საქმის პატიარქს სურდა თაობების აღზრდა და გააკეთა კიდევ. მაგრამ, რატომაც, უკვე დაფრთიანებულ აღზრდილებს იგი დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. და მხოლოდ ტუპოლვენი დაპატიმრების შემდეგ საბჭოთა კავშირში ზედისედ შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი საავიაციო საკონსტრუქტორ ბიურო, რომლებიც ბევრად უფრო წარმატებით ამოქმედდნენ.

ასე მაგალითად, სახელგანთქმული “ანტ-25”, რომელიც ანდრეი ნიკოლოზის ძე ტუპოლვენი ინიციირებს სახალხოდ, სინამდვილეში უნდა ყოფილიყო “პოს“-ი, რადგან იგი რეალურად შექმნა კონსტრუქტორმა პავლე ოსიპის ძე სუხოიმ. მანვე შექმნა ბომბდამშენი “ივანოვი”, მოიერიშე “სუ-2” და “სუ-6”. ამ უკანასკნელი თვითმფრინავის შექმნისათვის პავლე სუხოის 1943 წელს I ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა.

გაგრძელება იქნება



# მეგრული პოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

დიანთილი კვარჩხ-მორძევიშე  
მორთინუანდ კონჭიცალო,  
მუანთილი მიღვიზინანდ  
მოტაბიკე ხოჯიცალო.

კითხის ბეჭედ მუვონკალონ,  
ქიმოკოსუ ბედმეჭვილქე.  
ხე გინუსვიმ, აშ ქვემოსქედ  
ნოხირ თუმაქ, მებეჭვილქე.

- თაშით ძალამ ძლავ რენია,  
- ქამისქვამუ დიანთილქე.  
ჩქიმ მაღაზაქ ქვემაშინგ -  
ჭელც ისგრი მიშარქვილქე.

წორიშ წორცხ ქავოდგრთი  
ჯგირ ცხენი დო მაყარეთე.  
ჯაკელა დო ტულუ დარგა  
კვარხათ გეგმაბტყაბარეთე,

რტყილ ნორცხვასე ქაშვონკირით  
პიჯი გაგმიფსაქვარეთე.  
ტაბაკიში გოხუნაშა  
დიშქა აკოყამბარეთე.

ორკოლქ ქათიკარკალუნი...  
ქემწიბჭყითი გგნქ ბირა.  
დუც იფთხილანდ - მერკეთ  
ფშუნდი  
ღურუშ ღუშა ეკნახირა.

დარანაქე ყამარ-ძლავო  
მუმორთომუ უჩა ცირა...

ყუნა მიმანჯიაფულუ -  
შურხეთ მოკოდ აღნაჯირა!

ნაშქასერსე გაკლევწვიით  
ტაბახეფიშ ტყვაყაფითე,  
მათრახიში ზღვანდალით დო  
"ვოსა რადაშ" რაბადითე;

მოჭყულ კესმა აწოქვაქუდ -  
გოქუნილი ნაბადითე.  
ნორჩალც მუსუთ მეფხვადინი...  
აქ გაფთქუა, მაპატიოთე.

ნაონდერცხე გაქშაბურცხი -  
უხანდელო შულადირქე.  
ოსურქ შქართუნ ქაწიხუშუ,  
წარეფ აკომუნალიფქე...

აბარწაშა გაგმიბჩანგალ  
წყურბირგულეფ წყუნაფილქე,  
ჯიმაცალო ქალმაბიჯგ  
თხირიშ ბიგაქ, ჩუნაფილქე.

დიდ საჩიარ ვამლუდესე,  
უწი: - ბრელი ვამახასე,  
შხვაშ ნახონა უჩა ყვანა  
საონჯლოროთ ვამათასე.

დიდუ! გინოშუმილი რე  
მუთა რშუ დო, მიკირთ, ასე,  
მეუ დო წყარი ქელამტგბე,  
ვაგოკონდა, გეგნიბლასე!

სასიდედრომ მარჯენიგ-მარცხნივ  
მატრიალა კოჭივითა,  
სასიმამრო მიყურებდა  
მოტაბაკე ხარვივითა.

თითზე ბეჭედს რომ ვაცემული  
დაიკენესა ბედლამწვარმა,  
თავზე ხელი გადავუსვი  
ხელში შემერჩა თმა-პარიკი.

- ასეც კარგი გოგოაო,  
"დამამშვიდა" სასიდედრომ -  
ჰგავდა იმ ჩემს სასიმინდეს -  
ძველი ისლით გადახურულს.

კვირის სწორზე მივადექი  
ცხენიანა - მაყრიანა...  
გაატყავს დეკაული,  
წააცალეს თიკანს თავი.

შიგნეული შეწვეს უმაღ,  
ცოტა წავილუქმაპურეთ  
და ტაბაკთან დაჯდომამდე  
შეშა შემოვიხაზირეთ.

სავსე დოქი არაკრაკდა...  
წამოვიწყეთ სიმღერები,  
ვფრთხილობდი და ცოტას ვსვამდი  
სიკვდილსაც განარიდები.

ღვინომ მაინც ყამარ-ქალად  
მომანჩევსა შავი ქალი,

სახლში მიმეჩქარებოდა,  
მსურდა გვერდით მომეწვიანა.

შუალამით წამოვედით:  
დამბახების გრიალითა,  
მათრახების ტრიალით და,  
"ვოსა რადაშ"-ს სიმღერითა.  
და მომყავდა პატარძალი  
თეთრ ნაბადში გახვეული...  
საწოლში კი, რასაც მივხვდი, -  
აქ ვერ ვიტყვი, მაპატიეთ!

შუადღისას გამეღვიძა -  
უმრომელად ქანცვაწვეტილს,  
ცოლს საბანი მოეკუჭა,  
შეჭმუხვნილი წარბებითა.

აივანზე გამოვედი,  
მუხლისთავებ ნატკიები,  
დავებჯინე თხილის ხელ-ჯოხს  
ძმაცაცვიმთ მუდამ ერთგულს.

სხვა სათქმელი მე არ მქონდა,  
გუთხარ: ბევრი რომ არ გითხრა,  
სხვათა მიერ მოხსუნლ ყანას  
მე არ დავთეს, სასირცხვილოდ.

- დიდუ! გადამთვრალი იყავ,  
აღარ გახსოვს არაფერი,  
წადი წყალი მომიტანე,  
თუ არ გინდა შევიშალო.

### მეგრული ენის ლექსიკა

## გასაოცარი ლექსიკური სიღვიძრე

სიტყვა "მოდის" მნიშვნელობას მეგრულ ენაზე აქვს 500-ზე მეტი შესატყვისი. ე.ი. განისაზღვრება და გასაგებია იმის მიხედვით, თუ რანაირი ადამიანი მოდის, ან როგორ მოდის. ასეთივე გასაოცარი ლექსიკური სიღვიძრე ვლინდება სხვა სიტყვების (ზმნების) ანალოგიური მნიშვნელობებითაც. მაგალითად:

- შეადგინა მირიან ჯალაღონიამ,
- მაბატანს - კამენის ბატივით, ხმაამოუღებლად, უმისამართოდ.
- მაბახანს - მოკლე კისერზე დაბჯენილი თავი, მრგვალი ტანისა და სახის.
- მაბარდლანს - დაჭმულხელი, საცოდავი.
- მაცაქვანს - პატარა, სუსტი აღნაგობის.
- მაცარქანს - ბუნდოვანად მოაბიჯებს, დასუსტებული.
- მაცაგანს - წონასწორობა დაკარგული, მსუბუქი წონის.
- მაცაცანს - ცვრებით მოდის, ვითომ ვიდაცას ეპარება.
- მაცეკარანს - ყურებდაცქვეტილი, გაოცებული მხერით, ნადირივით ფრთხილი.
- მაცვარანს - ელაში
- მაზამანს - ზანტი, ზარმაცი, დიდრონი ტანის.
- მაზარანს - უღიმღამო ფიგურა, წელში ვერ იხრება.
- მაზაგანს - კუდაბიკა მზაკვარი, ეშმაკის თვალვით, ბორტი ჭყეტი სათვალის ქვემოდან.
- მაღვანკანს - წელში მოხრილი, დაცოტავებული, გაძვალტყავებული.
- მაღვანჭკანს - ჭიკეფლასავით (სიტყვა "ღვენწი" - ჭიკეფლა).
- მაღვანბანს - თავადივით არანეველებრივი, ჯიშინი, მოვლილი კაცი.
- მაღვაშქანს - შავი, მზემოკიდებული.
- მაღვანანს - ყელნასუქებული, გამომწვევად შეკერთალი.
- მაფარქანს - უკობტაო, დიდრონი ნომრის ტანისამოსით.
- მაფარქანს - უკობტაო, დიდრონი ნომრის ტანისამოსით.
- მაფეაბანს - გომბეშოსავით მოაბიჯებს (გომბეშო - "ჭაბუჭი").
- მაფეანტანს - უსუსური, ბატის ბუტივით.

შეადგინა მირიან ჯალაღონიამ,  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ბთავაზობთ ნახვებებს ნაკო მენსიას ნიგნიდან რომორ ბასხვისდა აფხაზეთი.

ამ დროს იყო მოწოდება: უნდა აგველო იარაღი, თოფი უნდა გავადრნილიყო აფხაზეთში და ეს ექიმების მიერ უნდა დაწვე-ბულიყო! ნუ დაგაიწყდებათ, რომ ყოველივე ეს წინ უძღოდა უნივერსიტეტის გაყოფის შედეგად, სოხუმიში 1989 წლის ივლისის სისხლიან შეტაკებას.

თსუ-ის სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის წარმომადგენლები, ვერც მერე მიხვდარიან რა ყოფილა უმჯობესი - საღი გონების მოხმობა თუ მათ მიერ დაშვებული უგუნურება?

აფხაზეთში სისხლი ექსტრემიზმის შედეგად ისეთ დროს დაიღვრა, როდესაც ქართული მოსახლეობა სრულებით არ იყო მზად საამისოდ. მთლიანად მათ სინდისზეა ყოველივე ის, რაც მოჰყვა ასეთ საბედნიერო შეცდომებს 1989 წლის ივლისის დღეებში.

ჩვენ კი სხვა გზით წავედით: ექიმთა საგაფიცო კომიტეტის ბაზაზე შეგქმენით ე.წ. CTK (მშრომელთა კოლექტივების საბჭო) და ექიმთა საზოგადოების თხოვნით ჩვეულებრივ საზოგადოებრივ თანხაში როგორც ქართული, ასევე აფხაზური წარმომავლობის ცნობილი მედიკოსები, შევიმუშავეთ წესდება და მის საფუძველზე რესპუბლიკური საავადმყოფოს ყველა განყოფილებაში, ქეობების მიხედვით, დელეგატებზე ავირჩიეთ საღად მოაზროვნე მედიკოსები და ისე ჩავატარეთ შემაჯამებელი კონფერენცია, რომ მას არ გადაეკარგა არც ჯანდაცვის სამინისტროს და არც მთავრობის წარმომადგენლები.

ამ ბრძოლაში გვერდენ და მუხლიანუხრულად იღვწოდნენ აფხაზეთში ცნობილი მედიკოსები: აწვანვეწვეული მარგო თოღუა, ქალბატონი ნატო მამასახლისი, ბატონები: გივი იმნაიშვილი, რეზო ხარჩიალა, შოთა ღურჭაია, ზურაბ ენუქიძე, ვათა შერვაშიძე, ლევან ფიფია, ლერი ჩარგაზია და სხვები. დიდია მათი წვლილი იმაში, რომ განიმუხტა დამაბულებელმა ექიმთა საზოგადოებაში და საქმე სისხლიან კონფლიქტში არ გადაიზარდა...

...ასე რომ, სხვა გარემოებებთან ერთად, ჩვენი შეცდომების ფასად დღითიდღე რთულდებოდა ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა ყველა დონეზე და იმაზე უფრო პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში. ასეთი არასწორი ტაქტიკისა და პოლიტიკური "თვითშემოქმედების" გამო, ბევრი საზიანო შედეგი მივიღეთ: დაგვარგეთ არა მარტო აფხაზეთთან ურთიერთშეხების საშუალებანი, არამედ პროცესების მართვის შესაძლებლობა და სადავები. უფრო მეტიც, მთლიანად გასოგვრნა მხედველობიდან სხვა, ე.წ. რუსულენოვანი მოსახლეობა აფხაზეთში. დაიკარგა მათთან საქმიანი კონტაქტები და თანამშრომლობის შესაძლებლობა, რითაც იმთავითვე ისარგებლეს ჩვენმა ოპონენტებმა. ასევე, ჩვენივე არასწორი ტაქტიკით, ხშირად არასწორი საკადრო პოლიტიკითა და პოლიტიკური ამბიციების გამო, თავიდანვე ხელიდან გავუშვით საზოგადოებრივი დაჯგუფებების მართვის ყველა სადავო და მერე ამოდ შევეცადეთ მისი არაპოლიტიკური გზით დაბრუნებას, რამაც, როგორც შემდგომ ვნახეთ, შეიწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე, დაგვარგეთ აფხაზეთი და მისი ძირძველი მოსახლეობა

ბა ხიზნად ვაქციეთ!

რაც შეეხება სხვა ობიექტურ და ხელშემწევობ პირობებს, უნდა ითქვას, რომ ისინი არსებობდნენ და მნიშვნელოვანი როლი მიუძღვეთ ყოველივე იმაში, რაც მოხდა. ისინი, როგორც ყოველთვის, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან. ეს ფაქტორები მრავალსახოვანია და მათზე ვალსაზად ვერ ვისაზრებთ. მსჯელობა სრულყოფილი რომ იყოს, საჭიროა ერთ-ერთი აბსტრაგირება და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ანალიზი და განხილვა. ამისათვის კი ისევე აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და პოლიტიკოსებზე მოგვიწევს ყურადღების გამახვილება...

ტრაგიზმი აქ იმაში მდგომარეობდა, რომ პოლიტიკაში გონიერი და ზნეობრივად ამბულეული ადამიანები იშვიათად მოდიან - საზოგადოებაში ცოტანი არიან ცოტენ დადიანები, ისინი ვორდანიები, ვიული შარტაგები, ასეთები იშვიათად თუ წარმოჩნდებიან რეალურ ცხოვრებაში, მათ უფრო პოლიტიკაში! უფრო ხშირად უბრალო მოკვლევები და მათ კარგად მომზადებულ ინტერესებთან გვექნდა საქმე. უბრალო მოკვლევითა და მათ ლიდერთა იმ წუთიერი ინტერესების დომინანტი კი ძირად დაუჯდა აფხაზეთის მოსახლეობას და არა მარტო მათ! ისინი სხვაგვარ უფრო მაღლა აფრიალებდნენ დროშებს, სხვებზე ხმადალა გაიძახოდნენ პარტიოტულ ლოზუნგებს; ყველაზე ღირსეულად თვლიდნენ მხოლოდ საკუთარ თავს, პროტენზიაჰ ჰქონდათ ნებისმიერ საქმის თავაკაცობასა და პროცესების მართვის სადავებზე უფრო მეტიც, ბევრ მათგანს მიანდა, რომ შეუძლია მართოს სახელმწიფოც კი...

...ასეთი მოღვაწეები აფხაზეთში არა ერთი და ორი იყო. ისინი ადვილად ერთიანდებოდნენ სხვადასხვა "საბჭოებში" და პოლიტიკურ პარტიებში, რითაც უფრო საშიშნი ხდებოდნენ... "საბჭოების" და "პარტიების" წევრების, მათი ლიდერების მეცადინეობით ყველა დანარჩენი, ისინიც კი, ვინც არ იზიარებდა გაუთავებელ მიტინგმანიას და, მათგან განსხვავებით, საღად აზროვნებდა, ე.წ. ზვიადისტებად ინათლებოდნენ... სამწუხაროდ, ეს ძალები სისხლითა და მახვილით მოსული ხელისუფლების აშკარა თუ შენიღბული მხარდაჭერით სარგებლობდნენ და ამ უკანასკნელთა ძირითადი დასაყრდენი გახდნენ აფხაზეთში. ისინი აშკარად ხელს უშლიდნენ პარლამენტის დეპუტატთა ქართული ფრაქციის მუშაობას და მიადრეკენ კიდევ მის დაშლას.

დეპუტატთა ერთი ნაწილი, მათ შორის, ქართული ფრაქციის ლიდერი თამაზ ნადარეიშვილი, მათ მხარეზე გადავიდა და ისინი ერთად დაადგნენ აფხაზურ მხარესთან ღია კონფორტაციის გზას - თეიანიოთ ექსტრემისტულ გამოსვლებით და ლოზუნგებით მოუწოდებდნენ ომისკენ, იმუქრებოდნენ, რომ გადაუვლიდნენ აფხაზებს და კრანსოდარამდე გააქევედნენ მათ. ე.წ. ერთნეული ერთიანობის საბჭოს თავაკაცის ბორის კაკუბავის ხე სიტყვები, ალბათ, ბევრს კარგად ახსოვს. კრანსოდარის მხარის მკვიდრობაც ესხომებათ და დღემდე მშვიდად არ "სძინათ", ალბათ! ყველას ახსოვს, ალბათ, ფსოუზე "ლაშქრობაც" და ფსოუს წყლის ყანწებით დალევაც!

რა უთხრა ნიკოლა სარკოზიმ საქართველოს პრეზიდენტს ნატოში შესვლაზე, კარინესკოზე, იუშენკოზე, მისტრალსა და რუსეთთან ურთიერთობაზე?

21 ივნისს ქართულ ინტერნეტ-საიტებში, კერძოდ კი ინტერნეტფორუმზე Planeta.ge გამოჩნდა მიხეილ სააკაშვილისა და ნიკოლა სარკოზის 2010 წლის 8 ივნისს, 11 საათზე ელისეის სასახლეში შეძგარი შეხვედრის ანგარიში, რომელიც ამ საუბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერს უფრო ჰგავს. მოგვიანებით ეს ტექსტი Forum.ge-ზეც დაიდო, საიდანაც მალე უზო-უკველივ გაქრა. საუბრის შინაარსი, მინიშნებები, ღია მესიჯები, რასაც საფრანგეთის პრეზიდენტი ქართველი კოლეგის მიმართ არ იშურებს, უმნიშვნელოვანესი და აქტუალურია. საკითხის მნიშვნელობიდან და ვიზიტის შესახებ ოფიციალური თბილისის მიერ გავრცელებული ინფორმაციის წინააღმდეგობრიობიდან გამომდინარე, ადგილი შესაძლებელია, ფორუმებზე დადებული ეს ტექსტი ბევრმა ბოროტ ხუმრობად მიიხნია, თუმცა ფაქტია, რომ მისი უარყოფა, ისევე როგორც დადასტურება, არც ფრანგულ და არც ქართულ ოფიციალურ სახარებოებით არ უცდია. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მკითხველს ვთავაზობთ შემოხსენებულ ტექსტს მცირედი შემოკლებით. რაც შეეხება მის ავთენტურობას, იმედს ვიტოვებთ, რომ, თუკი სარკოზისა და სააკაშვილის შორის მსგავსი საუბარი არ შეძგარა, ოფიციალური ამას ოფიციალურად უარყოფს.

საქართველოს პრეზიდენტის, მისი აღმატებულება მიხეილ სააკაშვილის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, მის აღმატებულება ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრის ანგარიში

2010 წლის 8 ივნისი ელისეის სასახლე, 11:00.

ნიკოლა სარკოზი: - მოგესალმები, ბატონო პრეზიდენტო და ძვირფასო მეგობარო, მიხარია, რომ კვლავ ვხვდებით. როგორც ხედავ, კარლას მონაწილეობა ჩვენს შეხვედრაში უკვე მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც ჩვენ შენს ვიზიტს ვანიჭებთ. ვიდრე მეუღლეები ცალკე ისაუბრებენ, მე ყურადღებით მოგისმენ. ვთავაზობ, ვიდრე ჩემს სათქმელს გეტყვოდ, შენ თავად გადმოგვცე შენი სათქმელი. ჩვენ მეგობრები ვართ და ერთმანეთისთვის დახმალა არაფერი გვაქვს.

მიხეილ სააკაშვილი: - ... ამჯერადაც მინდა დაგეგმავს, რომ ჩვენი მიზანია რეგიონში სტაბილურობის მიღწევა და განმტკიცება; ქვეყნის ეტაპობრივი წინსვლა ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე; ქვეყანაში გაავარძელოთ ის პოზიტიური დინამიკა, რომელიც ამჟამად არსებობს. საქართველომ უნდა შეასრულოს ის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული როლი, რომელიც მას თავისი მდებარეობიდან გამომდინარე აკისრია. ქვეყანაში იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც დადებითად აისახება ქვეყნის განვითარებაზე. მსურს, კიდევ ერთხელ დაგიდასტურო ჩვენი მაღლიერება თქვენი პირადი როლისა და წვლილისათვის ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში, სწორედ საფრანგეთის წყალობით ვიმედოვნებთ, რომ დღეს არსებული პრობლემები, ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაცია და ავღისტოს ომის შედეგად დარჩენილი პრობლემებიც, მოგვარდება... საფრანგეთის თანადგომის პირობებში საქართველო სანიმუშო დემოკრატიული ლაბორატორია შეიძლება გახდეს პოსტსაბჭოურ სივრცეში.

ნიკოლა სარკოზი: - ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ხელი შევუწყეთ საქართველოს დაახლო-

ებას ევროკავშირთან. მხარს დავიჭერთ იმ მოლაპარაკებებში, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს ევროკავშირში, აღმოსავლეთთან პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში.

რუსეთთან დამოკიდებულებაში ევროპაში პრობლემატური დებატები იყო. არაფერია დახმალა და ევროპა ორ ბანაკად გაიყო:

- 1. აგრესიულად განწყობილი ნაწილი: პოლონეთი უკრაინა, ლიტვა;
2. გახსნილი პოლიტიკის მომხრე, ჩვენ, მოგვსენებათ, მეორე ბანაკს წარმოვადგენთ.

ხომ ხედავთ, რა დღეში ჩავარდნენ პირველი ბანაკის წარმომადგენლები? პოლონეთის პრეზიდენტი, დემეტრია აცხონოს მისი სული, დაიღუპა, მაგრამ მისი რეიტინგი ქვეყანაში 15%-ს არ აღემატებოდა. უკრაინის პრეზიდენტი რა სამარცხვინო შედეგითაც წავიდა პოლიტიკიდან, ესეც კარგად იცით; ნახეთ, ასევე, რა ხდება ლიტვაში. ამ პოლიტიკურ კონტექსტში, ჩვენ, აბა, სხვა პოლიტიკური სტრატეგია როგორ უნდა გვექონდეს რუსეთთან მიმართებაში? შეიძლება ვცდებით კიდევ, მაგრამ ჩვენი პოზიციაა, საბოლოოდ დავასრულოთ ცივი ომის პერიოდი... ყველაფერი შეიძლება დამაბრალონ, მაგრამ ლაჩრობა და შიშისგან დამალვა ნამდვილად არაა ჩემი სტილი. რუსეთთან ჩვენი დამოკიდებულება ნამდვილად არაა შიშით ნაკარნახევი... ესაა უზარმაზარი ქვეყანა, უზარმაზარი პოტენციალით, რესურსითა და ასევე უზარმაზარი ამბიციებით... რუსეთში დიდი ფული ტრიალებს და ერთი სული აქვთ, ევროპულ ბაზარზე მოიკიდონ ფეხი. ჩვენ გვინდა, მათ ფული ჩვენთან დაგახარჯინოთ, რატომაც არა. გვინდა, ჩვენი კონტინენტი ერთიანი უსაფრთხოების სივრცეში გადაერთიანოთ.

ჩვენ შეგვიძლია რუსეთთან საუბარი. ხომ კარგად გახსოვთ აგვისტოს მოვლენების დროს ბუშის გამოცხადებით გემებმა კი არა (ბუში მე ძალიან მიყვარს, კარგი, მხიარული ადამიანია), ჩვენ შევაჩერეთ რუსები...

უნდევს პროცესი, რომელიც ჩვენი იმდროინდელი შეთანხმების ნაწილია, უნდა გავგრძელებდეს და აფხაზეთში და ოსებში უნდა ირწმუნონ, რომ საქართველო უფრო მიმხიდული და მათთვის საინტერესო ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი. საფრანგეთს დაახლოებით იგივე ვითარება ჰქონდა 150 წლის წინათ საგუას პროვინციაში, რომელიც მაშინ იტალიას ეკუთვნოდა. ნაპოლეონმა რეფერენდუმში ჩაატარა და მოსახლეობამ იტალიას საფრანგეთი არჩია. ილუზიას არ ვიქმნი, რომ ვენეციის მოლაპარაკებათა ფორმატში ყველა პრობლემა მოგვარდება, მაგრამ ეს შრომატევადი და დელიკატური პროცესია. როცა კბილი გვაქვს გასივებული, ექიმი ჯერ აბსესს მკურნალობს ანტიბიოტიკებით და მხოლოდ მერე გადადის კბილის მკურნალობაზე. ასეა ამ შემთხვევაშიც. მთავარია, შეიქმნას სტაბილურობის განცდა. ხალხი თავად დაიწყებს ერთმანეთისკენ სავალი გზების ძიებას.

ბერნარ კოშენი: - რამდენადაც ვიცით, აფხაზეთი უკვე ჩამოდიან თბილისში სამკურნალოდ.

მიხეილ სააკაშვილი: - გეტანხმებთ. ჩვენც სწორედ ასეთი სტრატეგია გვაქვს შემუშავებული. მთელ შავიზღვისპირა ზოლში ვცდილობთ, ინფრასტრუქტურა, პლაჟები განვაფართოოთ. მართლაც, ბევრი რამ კეთდება ამ მიმართულებით.

ნიკოლა სარკოზი: - ... „მისტრალის“ ტიპის გემთან დაკავშირებით, მე თვითონ გეტყვით: რუსები ეშმაკურად მოიქცნენ და ერთგვარი მახე დაგვიყენეს. იმ დროს, როცა ჩვენ მათ ირა-

ნის საკითხში თანამშრომლობას ვთხოვდით, გვითხრეს, რომ ჩვენგან გემის შეძენა სურდათ. უხერხული იყო, გვეთქვა, რომ თქვენ ირანთან მიმართებაში კი გვეჭირდებით, მაგრამ გემს ვერ მოგვიდითო. ჭკვიანურად შეარჩიეს ამისთვის შესაფერისი მომენტო.

შენ ჩემი მეგობარი ხარ და იცი, რომ არ მოვაცუვებ. ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა რუსეთისადმი ნდობის დემონსტრირების მნიშვნელობამ და ამასთან, კონკურენციაშიც. რადგან, ჩვენ თუ არ დავთანხმდებოდით, მეზობლები ამ შეთავაზებას ხელიდან არ გაუშვებდნენ. ამ ყველაფერთან ერთად, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს „მისტრალი“ არსებულ ძალთა ბალანსს ვერ შეცვლის... თქვენი ამოცანაა, მთავარხნოთ აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნება რეფერენდუმის გზით. ალტერნატიულ გზას ვერ ვხედავ. მგონი, მათი აზრის გათვალისწინება მოგიწევთ.

... ცხონებული კახინსკი რუსებს ებუტებოდა, ხმას არ ცვამდა და ის როგორ გიშუამდგომლებდათ?! უკრაინის პრეზიდენტს კი ისედაც არაფერი ეთქმოდა. ჩვენ მეტის თქმაც შეგვიძლია და მეტის მოთხოვნაც. ჩვენი ურთიერთობა გულახდილობის ფორმატში მიმდინარეობს.

მიხეილ სააკაშვილი: - დიდი მადლობა, მე ვაფასებ თქვენს გულწრფელობას. კარგად მახსოვს თქვენი გაბედული პოზიციები კონფლიქტის დროს. ამჟამად 6.000 ზე მეტი რუსი ჯარისკაცი იმყოფება ოჯახებით კონფლიქტის ზონაში, საიდანაც 120.000 ქართველი გამოიდევენა საკუთარი სოფლებიდან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ რუსეთთან ომით ევროფერს გაგხდებით და გულუბრყვილობაა, ვინმემ დაიჯეროს ის, თითქმის ჩვენ ვაპირებთ რუსეთს დავესხათ თავს...

ნიკოლა სარკოზი:

- ... რაც შეეხება ნატოში თქვენს ინტეგრაციას. ჩვენ მხარს ვიჭერთ (ასე არაა? დაიძრომ მრჩეველებიც). თქვენ კარგად გესმით, რომ ჯერ კონსენსუსი არაა წვერ სახელმწიფოთა შორის და ინტეგრაციამდე კიდევ რამდენიმე ეტაპია გასავლელი. სხვათაშორის, უნდა გულწრფელად გითხრათ: თქვენს იმ ამერიკელ მრჩეველებს ვკითხე, რომლებიც მაშინ ფუჭ და არარეალისტურ დაპირებებს გაძეგდნენ, რამდენი პროცენტი იყო საქართველოსა და უკრაინის შანსი აღიანსში გაწევრებულად და მათ მე მიპასუხეს, რომ ეს შანსი იყო 0%. აი, ეს მინდა იცოდეთ. მე, ყველამ იცის, რომ პროამერიკელი პრეზიდენტი ვარ, ბუშიც მიყვარს და ამერიკაც, მაგრამ მინდა, თქვენ რეალურად დაინახოთ, ვინ უფრო მეგობარია თქვენი. მე კიდევ ერთხელ გირჩევთ, ჯერ რეგიონი დაამშ-

ვიდით. სტაბილური კავკასია ყველას ინტერესებშია, ჩვენ კი გავაგრძელებთ თქვენს დახმარებას...

მიხეილ სააკაშვილი: - ... თუ საქართველო დაეცემა, მაშინ ევროპა არა მარტო ენერგეტიკულ კორილორს დაკარგავს, არამედ კიდევ უფრო სუსტი აღმოჩნდება გაძლიერებული რუსეთის წინაშე... ასევე მნიშვნელოვანია, ნატოსთან ეტაპობრივი დაახლოება, საეიზო რეჟიმის გამარტივება, ევროკავშირთან მათი თანამშრომლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში უთანასწორო ვითარებაში აღმოვჩნდებით. ლისაბონის სამიტზე ბევრია დამოკიდებული. ჩვენ ველოდებით, რომ საქართველოს მიმართ იქნეს პოზიტიური დამოკიდებულება შენარჩუნებული.

ნიკოლა სარკოზი:


- გაბრდებით, რომ გვერდით დაგიდგებით. თქვენს შეტყობინებებსაც, რომლებიც ყურადღებით მოვისმინე და ჩავინიშნე, გადავცემ პუტინსაც და მედეგეც. იგივე გავაკეთებ ჩვენ სირიასთან და მივალწიეთ სერიოზულ პროგრესს... არ გვინდა ანტირუსული რიტორიკა. ეს დახურულობისკენ გვიბიძგებს...

P.S. იმაზე, თუ როდენ მნიშვნელოვანია ეს ტექსტი, მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ 29 ივნისს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებაც, რომელშიც, სააგენტო „ინტერპრესნუსის“ ცნობით, სააკაშვილი ამბობს: „გადასტურებ ჩვენს მზადყოფნას, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, რუსეთთან ფართომაშტაბიანი მოლაპარაკება ვაწარმოოთ ნორმალისადაც... მათთან ყველანაირი მოლაპარაკების წარმოება გვინდა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ალიარებული იქნება როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც სურს, იყოს რუსეთის პარტნიორი“.

როგორც ჩანს, დასავლეთი მართლაც ცდილობს, დაარწმუნოს სააკაშვილი, რომ ნატოში საქართველოს გაწევრება უტოპიაა, რომ სოსუმთან და ცხინვალთან იარაღის უღარუნი, ისევე, როგორც ანტირუსული რიტორიკა, კარგს არაფერს მოგვიტანს და რომ ჩვენთვისვე სჯობს, რაც შეიძლება დროზე დავიწყეთ რუსეთთან მოლაპარაკება... ფაქტია, სააკაშვილი იძულებულია, დაეთანხმოს ან დაემორჩილოს სარკოზის „მესიჯს“, არცთუ უმნიშვნელო პარალელს კახინსკისა და იუშენკოს ანტირუსული პოლიტიკის კრახზე... ერთი სიტყვით, მიშა სარკოზის უჯერებს, მაგრამ... თუ ვითვალისწინებთ რუსეთის პრეზიდენტი - სა და პრემიერ-მინისტრის დამოკიდებულებას სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მიმართ, აგრეთვე, საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებით მათ ოფიციალურ განცხადებებს, საექვოა, მოსკოვში რომელიმე სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან საუბარს დასთანხმდეს.



# მიხეილ სააკაშვილი გორში სტალინის ძეგლს იღებს, რეზონანსი სტალინზე ფილმს იღებს...



იოსებ სტალინი მას შემდეგ შეიძლება რომ ნაცვლად კაბიტილისტური ცხოვრების წესისა, სადაც ყველაფერი ფულის მოხვეჭასა და პიროვნების ქონებით მდგომარეობაზე და მოკიდებული მისი პრესტიჟი, სადაც, როგორც წესი, ყოველთვის ზანდებები და ავანტიურისტები წინააღმდეგობის ხომლზე, იოსებ სტალინიმ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ააგო სოციალური თანასწორობის პრინციპზე და საზოგადოების თითოეულ წევრს ღირსების საქმედ დაუსახა ერისა და ქვეყნისადმი სამსახური. საბჭოთა ადამიანები იბრძოდნენ არა იმდენად საკუთარი კეთილდღეობისათვის, რამდენადც ერთიანი სამშობლოს ძლიერებისათვის, რომლის შემდეგი გახლდათ იმ დროისათვის მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებისათვისაც კი გაუგონარი უფასო მკურნალობა, უფასო განათლება, სახალხო მკურნალობის დარგების არსახული აღმავლობა...

თითქოს ვიღაცამ ჯადოსნური ჯოხი აიქნიაო - წამოვრდა შეიცვალა ერთ დროს ჩამორჩენილი და ცივილიზაციის კედში მონაწილე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მენტალიტეტი, ხალხს ეჯერა მომავლის და დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი შრომით გარკვეული წვლილი შექონდათ საერთო საქმეში.

უკვე მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხალხების ლექსიკონიდან გაქრა სიტყვა "ჩემი" და საბოლოოდ დამკვიდრდა სიტყვა "ჩვენი", რაც თავისთავად მიანიშნებდა საბჭოთა საზოგადოების მსოფლმხედველობაში მომხდარ გრანდიოზულ ძვრებზე.

ამის დასტურად ისტორიიდან თუნდაც ერთი ნიშანდობლივი ფაქტი შეიძლება მოვიხმოთ.

მას შემდეგ, რაც ცნობილია საბჭოთა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ვალერი ჩკალოვმა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში არსახული რეკორდი დაამყარა - დაუმეგობრდა იფრინა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებამდე, ნიუ იორკში მოწოდებლად პრესკონფერენციაზე მას ერთ-ერთმა მკურნალისტმა ჰკითხა:

- რამდენი მილიონი თანხის პატრონი ხარ, მისტერ ჩკალოვ?

- მე 170 მილიონი ადამიანი მეყვს, რომელიც ჩემზე ფიქრობს და რომლებსაც მე ვფიქრობ, ეს არის მთელი ჩემი სიმდიდრე!

- იყო პასუხი.

სწორედ ამ რამდენიმე სიტყვაშია ჩადებული სტალინის მიერ შექმნილი რელიგიური ახალი - სოციალისტური სისტემის არსი და თითოეული ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსა და საზოგადოებისადმი.

ასეთი ქვეყანა ააშენა სტალინიმ, სადაც ცხოვრება თანდათან უმჯობესდებოდა, ყოველი წლის მარტში იაფდებოდა პირველადი მოხმარების საქონელი ხოლო უმძიმესი სამსახური ომის მეორე წელს გააუქმა საბარათო სისტემა. საბჭოთა კავშირი განუხრებლად ძლიერდებოდა როგორც ეკონომიკურად, ასევე სულიერად, და სტალინს რომ კიდევ სამი წელი სიცოცხლე დავცლოდა, მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების საგნები (კური, მარილი, საპონი, ნავთი, ასანთი და სხვა) უკვე უფასო გახდებოდა.

სწორედ სტალინიმ გააძლიერა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, რამაც კიდევ უფრო ააძლიერა სოციალისტური სისტემის ავტორიტეტი. კაპიტალისტური სამყარო დადგა იმის რეალური საშიშროების წინაშე, რომ მშრომელი მოსახლეობა ზურგს შეაქცევდა მას და სოციალისტური წყობისაკენ აიღებდა გეზს.

მაგრამ სტალინი მოკვდა (უფრო მართებული იქნება ვთქვათ, რომ ჟიდი-მასონებმა ხრუშჩოვისა და მალენკოვის ხელით მოწოდებული სამსახურით და საბჭოთა კავშირის სათავეში მოსულმა ჟიდი-მასონებმა (ნიკიტა ხრუშჩოვმა, ლეონიდ ბრეჟნევმა, მიხეილ გორბაჩოვმა, საბჭოთა კავშირის დანგრევის დამაკვირვებელი სტალინი და ბორის ელცინი...) სოციალიზმის პარამონიული სისტემა შეგნებულად იმდენად დაამახინჯეს, რომ მთელი მსოფლიოს აბუჩადა ახავდნენ გახადეს. ასე დაიწერა იოსებ სტალინის მიერ კლასობრივ მტერზე გამარჯვების შემდეგ რუქებით ნაგები სოციალიზმი, რომლის მოღვლის განხორციელებას, მთელი მალისხმევის მიუხედავად, დღემდე ვერ ახერხებენ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებიც კი. ამრიგად, იოსებ სტალინი ერთად მოკვდა პარამონიული საზოგადოების აშენების იდეაც...

მას შემდეგ უამრავი ფილმი გადაიდგეს სტალინზე როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, მაგრამ თითქმის ყველა ამ ნაწარმოებში უტიფრადაა გაყვანილი რეალობა, რადგან სხვაგვარად ძნელია შექმნა სტალინისაგან მონსტრისა და სისხლიმსმელი ჯაღათის სახე. სტალინის როლზე კი ათამაშდნენ დუტა სხირტლადისთანა ტაკიძისხარებს, რათა კიდევ უფრო დაეკინებინათ ბეჭადის სახე. უფრო მეტიც, მას შემდეგ რაც გორსა და ტყიბულში უდავურმა ნაციონალიზმმა სტალინის ძეგლი დაშლია, ქურდულად, მიპარვით აიღეს, დღედაღამ ატრიალებენ ხელოვნებას მიტმანსილი ურიების მიერ გადაღებულ ფილმებს სტალინზე, სადაც ეს მართლაც განუმეორებელი სახელმწიფო მოღვაწე ქალათიანი (!) ურჩხულადაა წარმოდგენილი, რომელიც გერმანიის დამარცხების შემდეგ ბრძანებას აძლევს რუს ჯარისკაცებს, რომ მარცვონ და გააუპატიურონ ბერლინში მცხოვრები ქალები და მცირეწლოვანი გოგონები.

გაუგონარი მკრეხელობა! სტალინიმ გადაარჩინა რუსული ეკლესია

ტროცკის გამანადგურებელი "ლაშქრობებისაგან", სადაც წითელ საეკსტრემიზმს რამდენი ეკლესია უნდა დაეხრებოდა ყოველდღიურად. დღედაღამ იწვოდა მართლმადიდებელი რუსეთის სივრცეებზე წინასწარ გაძარცვული ეკლესიები და რომ არა სტალინის გენია, რამდენიმე წელიწადში რუსეთი რელიგიური სიწმინდეების გარეშე დარჩებოდა. სწორედ სტალინიმ მოიფიქრა ის, რომ დაამზადებინა რამდენიმე ათასი ცალი ლითონის ფირფიტა შემდეგ წარწერით: "ეს ეკლესია რუსული კულტურის ნიშანია, რომელსაც იცავს სახელმწიფო". ბუნებრივია, ამან შეაკავა "წითელი გამანადგურებლები", რადგან სახელმწიფოს მიერ დაცული კულტურის ძეგლების დანგრევა ავტომატურად დააყენებდა მათი პასუხისმგებლობის საკითხს. აღმფრთხილებელი ტროცკი ლენინთან გაიქცა და შესწივლა: "სტალინი ცრუმორწმუნობასთან ბრძოლის საქმეში ხელს გვიშლისო". როცა ვლადიმერ ლენინი საქმეში დეტალურად გაერკვა, მიხვდა სტალინის ამ ნაბიჯის სიბრძნეს და სპეციალური დადგენილებით აკრძალა ეკლესიის აღმშენებლების მარცვა და განადგურება.

ახე გადაარჩინა სტალინიმ რუსული ეკლესია, რასაც ყოველთვის აღნიშნავდნენ მადლიერებით რუსული ეკლესიის მამამთავრები.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოკალათებული რამდენიმე უდეურისა და ჟიდი-მასონების გარდა ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ სწორედ სტალინიმ იხსნა მსოფლიო ფაშიზმის საკისფერი ტირისაგან! სწორედ სტალინის პოლიტიკური გენიის შემდეგი გახლდათ ის, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირს გვერდით ამოუდგინა მანამდე სოციალიზმის დაუძინებელი მტრები ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი. მანამდე კი აშშ-ს პოზიცია გახლდათ შექცეული: "ეომონ ვეროპლეები ერთმანეთს, დივიდონ სისხლისგან, ჩვენ კი მოვალთ ბოლოს, როდესაც სუსტებს ძლიერი "შუამავალი" დასჭირდებათ".

რაც მართალია, მართალია, "მსოფლიო მოქალაქეობის" იდეების მაკულტურირებულ კონსოლიდირება სტალინი ნამდვილად არ სწყალობდა, რადგან იგი აშენებდა სახელმწიფოს, რომლის თითოეული წევრის ზეშინაგონება იქნებოდა სამშობლოსა და მშობლიური ერის სამსახური, მაღალი ხეობა, მორალი, სულიერება... ეს ღირებულებები კი ყოველად მიუღვებოდა იმ ხალხისათვის, ვისაც მსოფლიოს მოსახლეობის ზომბირება და დამონება აქვს გადაწყვეტილი, მას შემდეგ, რაც განწირულებს საერთოდ ამოუგდებს თავიდან ეთნიკურ კუთვნილებას და მართლმადიდებელურ მრწამსს. სწორედ მათ მიერ დაქირავებულ ადგილობრივ უჯიშოთა ხმით ხდება ყოველგვარი სიბინძურის მისხმა "საბჭოთა იმპერიაზე", "სტალინის დანაშაულებებზე", "სუკის სრიკებზე", "ოკუპანტ რუსებზე", "ქართვლ გამოვიდგულ კომუნისტებზე" და სხვა.

სწორედ სტალინიმ ასეთი ამაზრზენი ინსუაცოების ტრანსლირება ემსახურება ხალხის ზომბირების საქმეს, რათა საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, თუ რაოდენ ბარბაროსი და სისხლისმსმელი ადამიანი იყო კაცობრიობის ეს უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე.

სწორედ ამიტომ გავიხარეთ, როცა შევიტყვეთ, რომ ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მსოფლიო კინოს პატრიარქი რეზო ჩხეიძე სრულმეტრაჟიან, რამდენიმე სერიან მხატვრულ ფილმს იღებს იოსებ სტალინზე. დრამა ვართ დარწმუნებული, რომ სწორედ ამ ფილმით მოუღებს ბოლოს განთქმული ქართველი კინოსხელოვანი სტალინიზე გავრცელებულ ყოველგვარ ცოდნისწამებას და უახლოეს მოქმად-მოქმადს.

მხოლოდ ერთმა გარემოებამ გაგვაოცა - რეზო ჩხეიძის მამა, ცნობილი ქართველი მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე დიდა ჩიანელი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა.

- მართალია, მამაჩემი სისტემის მხვეურბლი შეიქმნა, მაგრამ როცა საქმე ეხება ისეთ გრანდიოზულ პრობლემას, როგორც იოსებ სტალინი, ყოველივე პირადული გვერდზე უნდა გადავდეთ და საღი თვალით შევხე-

დით ფაქტებსა და მოვლენებს, - ამბობს ბატონი რეზო, - მართალია 37-ში იყო გადახრები რასაც უამრავი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარ უდანაშაულოთ ცოდევა სწორედ დაუმსახურებლად აღზევებული არაკეთილსინდისიერი ადამიანების დაბეჭდვის შედეგი გახლდათ. ასე რომ, ყველა ამ დანაშაულში იოსებ სტალინისა და ბოლშევიკურ ხელისუფლებას ვერ დავადანაშაულებთ. საბჭოთა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივების გამოძიების შემდეგ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანების წამებისა და სიცოცხლის მოსპობის უამრავი შემხარავი ფაქტი წამოტევიდა, მაგრამ იმ დამბეჭდებულთა უშუალო შთამომავლები დღეს ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრები არიან, და უშიშროების გასაიდუმლოებული მონაცემების გამოძიებებს შეიძლება დიდი უარყოფითი მუხტი შეეცანა საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ არ მოხდა ამ მონაცემთა ლუსტრაცია... თუმცა, ისიც ფაქტია, რომ გარკვეულმა დინტელესებულმა წრეებმა მოახერხეს სუკის არქივების დიდი ნაწილის საბოლოოდ განადგურება!

მართლაც ბრძანებს დიდი კინორეჟისორი, სამწუხაროდ, ყველა ასე ობიექტურად და დიდსულოვნად არ ეყვრობა სტალინის ფერომენს - ლანდლა-გინება ხომ უფრო ადვილია, ვიდრე ობიექტური ინფორმაციის მოპოვება. თანაც, თუ ამ ლანდლა-გინებაში ურია სოროსი და კიდევ ვიღაც ვიზინდარები დიდ ფულს იხდიან.

ტყუილად როდი ამბობდა სიტყვაპუნწი და ეპიტეტებში თავშეკავებული დიდი მხატვარი პაბლო პიკასო: "მასში თავმოყრილია სახელმწიფო მოღვაწის იულიუს კეისრის ჭკუა, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცხრონის მტკრემტყველების დამაჯერებლობა და აზრის გამოსატვის სისწრაფე, მაგრამ სტალინი ყოველ მათგანზე უფრო მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, რადგან მასში მოქცეული არიან ყველა ერთად ადებული."

არა მგონია, რომ ჟიდი-მასონ ურია სოროსისა და საქართველოში მობოგნე მის "შეიღობილებს" პაბლო პიკასოზე მეტი განათლება ან ფაქტებისა და მოვლენების შეფასების უნარი ჰქონდეთ...

ამრიგად, მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი ისტორიული გმირების ძეგლებს ეჯავჯავურება, როცა მისი უდიდამო და უსახური თანაგუნდელი აკაკი მინაშვილი სტალინის ხელმოცარულ პოლიტიკოსად მოიხსენიებს (მოდის და ნუ გაგეცინება!) დიდი ქართველი კინორეჟისორი, მსოფლიო კინოს მამტრო რეზო ჩხეიძე სტალინზე ფილმის გადაღებას იწყებს, სადაც ობიექტურად, ყოველგვარი გადაჭარბებისა და დამახინჯებების გარეშე იქნება წარმოხენილი ამ მართლაც კაცობრიობის ისტორიაში გამორჩეული დიდი სახელმწიფო მოღვაწის იოსებ სტალინის სახე განუმეორებელი შრომის მოყვარებობა, მისი ურთიერთობა უბრალო მშრომლებთან, საკუთარი ოჯახის წევრებთან, თანამებრძოლებთან და საბჭოთა ხელისუფლებას მიტმანსილ კლასობრივ მტრებთან. და რაც მთავარია, ბატონ რეზოს ამ მართლაც საშვილისშვილო საქმეში დიდ დახმარებას უწყევნ რუსეთის ხელისუფლება და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

წარმატება კუსურვით დიდ მაესტროს! როლანდ ჯალალანი, "ფახისის" აკადემიის ნამდვილი წევრი

**ციტატა-შეხსენება**  
"როდესაც სამმა ჭკვიანმა ადამიანმა - სტალინიმ, რუსელებმა და ჩერჩილმა - ომის შემდგომი მსოფლიო გავლენის სფერობად დაჰყვეს და ივალდებულეს იქ სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნება, სტალინიმ თქვა, რომ ამ დაყოფის მიზანი დედამიწაზე "თუნდაც ორმოცდაათი წლით" მშვიდობის შენარჩუნებაა. როგორ განჭვრიტა..."

**აღექსანდრე ჭაჭია, 1996 წლის დეკემბერი.**

# მეგრული ნაციონალიზმი“ ანუ შეთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ

გიორგი ხუფენია ქართული სპეცსამსახურების რიგებში გაიზარდა და ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი მუშაკი. იგი გახლდათ უმწიკვლო და პრინციული ადამიანი, რომელმაც შემოგვინახა ფანჯარებზე დოკუმენტები, სადაც გამოკვეთილია როგორც ადამიანთა კეთილი, ასევე ბოროტი საქმეებიც, რასაც ასიათასობით სურული უდანაშაულო ადამიანები შეეწირნ. სწორედ ეს არ აძლევდა და ამჟამადაც არ აძლევს მოსურებებს ისტორიის გამჟღავნებებს, რომლებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მანიპულირებენ ისტორიული ფაქტებითა და მოვლენებით. სულგანათლებული გიორგი ხუფენია, როგორც უტყუარო და პირუთენელი მემკვიდრე, მსხვერპლ ზის ჰყავს მოხსენიებული თავის შესანიშნავ ნაშრომებში ცნობილ ქართველ აკადემიკოსს ბატონ კლიმენტი შელიას.

გახეთ “ილორის“ მეიბეჭდეებს ვთავაზობთ ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს ბატონ გიორგი ხუფენიას მოვლებიდან.

როგორც ცნობილია, ეგრეთწოდებული მეგრელთა საქმის პოლიტიკური შეფასების საწყისად 1951 წლის ნოემბერი თვეა. უთუოდ ის ასევე არის, მაგრამ ფართო მასშტაბის დღემდე ცნობილი არ არის მთავარი და ძირითადი, ანუ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ აღინდელი პერიოდისთვის თუ როგორი ვერაულონიანა ფიქრი არსებობდა ეგრეთწოდებული „მეგრული ნაციონალიზმის“ ფაქტის შესაკონსოლიდაციად, რომელიც მეტად კონსპირაციულ ვითარებაში ფუნქციონირებდა და მას თავიდანვე საქართველოს ხელმძღვანელ პირთა პათოლოგიურად დაავადებული ავტორიტეტები ეძღვნებოდა თურმე სათავეში, მეგრელთა მოქმედებას. თურმე არც თუ ისე ცოტანი ყოფილან, სამწუხაროდ ასეთების წყალობით ამ ჯგუფმა გზა და გზა მნიშვნელოვანი შევსება მიიღო, რითაც მოგვიანებით გუნდში უგუნურთა საკმარისი წრე შეიკრა...

...1946 წლიდან, საბჭოთა სახელმწიფოს გლობალური ინტერესებიდან გამომდინარე იოსებ სტალინის პირადი მითითებით (პოლიტიკური დადგენილებით) ლავრენტი პავლეს ძე ბერიას სათავეში უდგებოდა პარტიისა და სახელმწიფოსთვის №1 სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემური საკითხის, ატომური ბომბის შექმნის საქმეს. შესაბამისად იგი მრავალხაზობრივი სახელმწიფო სტრუქტურების გარკვეული ნაწილისაგან თავისუფლებდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სახელმწიფო-სტრატეგიულ დაზვერვას, რომელიც შემდგომ „ლპ-ს“ (ლპ – ასე იხსენიებდნენ ახლო წრეში ლავრენტი პავლეს ძე ბერიას) უშუალო დაქვემდებარებაში დარჩა.

საკავშირო უშიშროების მინისტრი, არმიის გენერალი მერკულოვი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და მის მაგივრად ინიშნება სამამულო ომის პერიოდში წითელი არმიის კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველო „სმერშის“ უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი აბაკურიძე.

...კადრების გადაადგილების პროცესს არც საქართველოს უშიშროების სამინისტრო გადაურჩა. აბაკურიძე არ ტოვებს „ყურადღების“ მიღმა რესპუბლიკას, ამით სარგებლობენ საქართველოს მაღალჩინოსნები და ნოყიერ ნიადაგს ამზადებენ უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი პოსტის დასაუფლებლად, ურომლისოდ დასახული მიზნის განხორციელება შეუძლებელია.

ერთდროულად და სასწრაფოდ, როგორც კრემლში, ასევე საკავშირო უშიშროების სამინისტროში, წერილი – წერილი იგზავნება, რითაც ანონიმი ავტორები იტყობინებიან, რომ საქართველოს უშიშროების მინისტრი აქსენტი ნარიქის ძე რაფავა ქართული ემიგრაციის ლიდერის – ნოე ჟორდანიას ალალი ბიძაშვილის (ხოციერ წერილში მისი შეიღობა მოიხსენიება) მეუღლეა და ამ თანამდებობაზე იგი ნდობას არ იმსახურებს.

...შემდგომში ცნობილი გახდა, რომ ანონიმური წერილის ერთ-ერთი ავტორთაგანი ამიერკავკასიის საჯარისო შენაერთების კონტრდაზვერვა „სმერშის“ უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ მაქსიმეს ძე რუხაძე ყოფილა.

ნ. რუხაძე, რომელიც წლების გან-

მავლობაში საქართველოს ჩეკაში მუშაობდა, ხოლო შემდგომში მინისტრის მოადგილე, ხელმოწევით კარგად იცნობდა ან. რაფავას ოჯახურ მდგომარეობას. სხვათაშორის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჭიკიკო (ასე ეძახდნენ შინაურულად) რაფავას რეკომენდაციით იქნა ნიკოლოზ რუხაძე ამიერკავკასიის საჯარისო შენაერთების კონტრ-დაზვერვის ხელმძღვანელად დანიშნული.

1947 წლის იანვრის თვიდან გენერალ-ლეიტენანტი აქსენტი ნარიქის ძე რაფავა საქართველოს უშიშროების მინისტრის თანამდებობიდან გადააქცევათ ოუსტიციის მინისტრად. ასე რომ რესპუბლიკის ეს მნიშვნელოვანი თანამდებობა, როგორცაა უშიშროების სათაო სამსახურის პირველი შეფის ადგილი, თავისუფლდება. მასხადამე, შეიძლება კომპენტენტურმა პირებმა ჯგუფიდან თავი გამოეყონ და ჩანაფიქრის გემპლაჟიერ განხორციელებას მისცენ მწვანე გზა.

იწყება მოქმედება. ადგილობრივ ხელმძღვანელობას იმედი აქვს ამ თანამდებობაზე მოხედეს გენერალი ნ. რუხაძე, რომელსაც როგორც „სმერშის“ მუშაკს, უკვე ამჟამინდელი მინისტრი აბაკურიძე კარგად იცნობს. იმ შემთხვევაში თუ კი ეს ასე არ მოხდა, მასში შეთქმულთა მანქანა არ ამუშავდება. როგორც ცნობილი გახდა, საკავშირო უშიშროების მინისტრ აბაკურიძის სხვა გეგმა პლანად. ამ პოსტზე მას ღირსეულ კანდიდატად მოაზრებული აქვს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სამხედრო ოლქის საჯარისო კონტრ-დაზვერვის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვალდია ზარელუა. მასინ კი, ყველაფერი შესაძლოა რიგულ ყოფილიყო...

...არ შეიძლება არ აღინიშნოს, გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძის დივიზიის გენერლების: ლეონიდ ბრეჟნევის და ვალდია ზარელუას შესანიშნავი მეგობრული ურთიერთობების შესახებ, რომელთა სიახლოვეზე არა ერთხელ აქვთ სამამულო ომის მემკვიდრეებს აღწერილი.

ამბობენ, რომ ვალდია ზარელუამ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას, რომელიც საერთოდ კადრების შესწავლით იყო დაინტერესებული, ერთ-ერთი შეხვედრის დროს ლ. ბრეჟნევის პიროვნება დაუხასიათაო, როგორც გაწონასწორებული და ღირსეული მხარდი პარტიული მუშაკი. იმასაც აღნიშნავენ, რომ თითქოს ეს გარემოება გამხდარიყოს ლ. ბრეჟნევის მაღალ საფეხურზე დაწინაურების საფუძველი.

დავუბრუნდეთ თხრობის მთავარ არსს: როგორც ვვარაუდობთ გენერალი აბაკურიძის, საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს – კანდიდ ჩარკვიანს პირდაპირი ხაზით ატყობინებს საკავშირო უშიშროების სამინისტროს ახრის საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის პოსტზე დასანიშნი კანდიდატურის შესახებ და რომ ასეთ პიროვნებად შერჩეულია „სმერშის“ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი, ჩვენებების კარგად ცნობილი გენერალი ზარელუა.

პასუხად კ. ჩარკვიანი მოახსენებს, რომ მიიღოს პირდადა. საკავშირო სამინისტროში მისულს, მინისტრის მისაღებად შეხვედა აბაკურიძის მიერ საქ. უშიშროების მინისტრად რეკომენდებული ვ. ზარელუა, ერთმანეთთან თბილად მისაღების შემდეგ კ. ჩარკვიანს მინისტრის რეფერენტი დაუყოვნებლივ მიაცილებს, გენერალ-პოლკოვნიკ აბაკურიძესთან, კაბინეტში.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივან კ. ჩარკვიანსა და საკავშირო უშიშროების მინისტრ აბაკურიძის შორის იწყება საქმიანი დიალოგი. – როგორც ტელეფონით მოგახსენეთ – იწყება საუბარს საქართველოს ცეკას მდივანი – გენდია ზარელუა მიმართ, როგორც კომუნიკაბლ და პროფესიონალი ხმზე საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და მისი ბიურო, მხოლოდ დადებითი შეხედულებისაა, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი ანგარიშგასაწვევი გარემოება, ან. ვალდია ზარელუა მიუხედავად მისი ქართული წარმომავლობისა, წლების განმავლობაში მუშაობდა და ცხოვრობდა საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის აქტივად, რაც მთავარი თბილისის საზოგადოება და მისი ელიტარული ნაწილი, მას ნაკლებად იცნობს. ჩემი აზრით ეს ფაქტორი ანგარიშგასაწვეია თქვენდამი რწმუნებული სპეციფიკური სამსახურისათვის.

ამის შემდეგ კანდიდ ჩარკვიანმა, საუბარი დაწვებული არგუმენტაციის ჭრილში გააგრძელა და აბაკურიძეს ახსენებს, რომ საქართველოს ცეკას ახრის, რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის პოსტზე რეკომენდაცია მისცეს ამიერკავკასიის ჯარების კონტრდაზვერვის „სმერშის“ უფროსის გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ მაქსიმეს ძე რუხაძეს, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს უშიშროების პასუხისმგებელ თანამდებობებზე, ხოლო ამის შემდეგაც, როდესაც გენერალი რუხაძე გადაყვანილ იქნა წითელი არმიის ამიერკავკასიის ჯარების კონტრდაზვერვის უფროსად, სამსახურგობრივი მდგომარეობით ძირითადად მაინც საქართველოში იმყოფებოდა და მის აქტივთან მჭიდრო კავშირში უხდებოდა მოღვაწეობა. მნიშვნელოვანი გარემოება ისიც, რომ გენერალი რუხაძე, ამიერკავკასიის ჯარების სარდალთან ერთად არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და იგი დღეის მდგომარეობით, როგორც ცეკას პლენუმის წევრი ნაყოფიერ პარტიულ საქმიანობას ეწევა რესპუბლიკის მასშტაბით.

საკავშირო მინისტრი – აბაკურიძე, საქართველოს ცეკას მდივნის ჩარკვიანის დასაბუთებულ რეკომენდაციას უშიშროების მინისტრის პოსტზე ნ. რუხაძის წარდგენის შესახებ, ლოგიკურად ცნობს და გენერალ რუხაძის სასარგებლოდ წყდება საკითხი, ხოლო გენერალი ვლადიმერ ზარელუა ინიშნება ნიკოლოზ რუხაძის მაგიერ ამიერკავკასიის ჯარების შენაერთების კონტრ-დაზვერვა „სმერშის“ უფროსად.

საკითხის სასურველი კუთხით შებრუნების შედეგად, ცეკას მდივანი ჩარკვიანი გამარჯვებული და გაბადრული ბრუნდება საქართველოში. ხუმრობა ხომ არ იყო, ჯერ ან. რაფავას, როგორც მეგრელის, ამ მეტად მნიშვნელოვანი თანამდებობიდან უმტკივნეულოდ ჩამოშორება, ასევე უმტკივნეულოდ მეორე მეგრელი – ვ. ზარელუასათვის გზის გადაკეცვა.

ამრიგად, საწადელი მიღწეულია, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარზე უმთავრესია, ეს მაინც საქართველოს უშიშროების მინისტრად ნ. რუხაძის დანიშვნაა.

1952 წლის იანვრის თვეა. საქართველოს უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროს პოლპოლკოვნიკი მამია ჟვანიას გადაადგილებული საქმის გამო მოუხდა პირველი სპეც. სამსახურის არქივში შრომატევადი, ხანგრძლივი მუშაობა, საბჭოთა საქართველოს დაარსების პირველი დღიდანვე, ანუ 1921 წლის თებერვლის თვიდან დაწვებული ოციანი წლების არქივი მთლიანად და დეტალურად შეესწავლა. ამას ითხოვდა ის საქმე, რომელიც პოლპოლკოვნიკ ჟვანიას ლოგიკურ დაბოლოებაზე უნდა მიეყვანა.

ეს ის დროა, როდესაც „მეგრელთა საქმე“ მთელი სიმწვავეით ღვას ღვას წყაროში, საკითხის გარშემო მიღველია ცენტრალური კომიტეტის არა ერთი დადგენილება. ამ დროისათვის უკვე დაპატიმრებულია მეგრული წარმოშობის პარტიული-საბჭოთა ავტორიტეტები და ხელდადებით გრძელდება სხვა პასუხისმგებელ პირთა აყვანა.

პოლპოლკოვნიკი მ. ჟვანიას საქმიანობას არქივში გარკვეულწილად აგორებული „მეგრელთა საქმესთან“ ჰქონდა კავშირი. შემოსული ბინძური ხასიათის ანონიმური წერილი, რომელიც საბჭოთა წყობილების პირველი წლების საკითხებთან იყო დაკავშირებული, ითხოვდა მთელი რიგი მასალების ოფიციალური თუ არაოფიციალური გზით ანონიმის მიერ მიწოდებული ინფორმაციების გადამოწმებას.

ვიმორებ, „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით ნ. რუხაძე მოგონილ კომპრ-მასალებს აწვდიდა კრემლის ხელისუფალთ, ასეთი აპრობირებული მეთოდით ამართლებდა, რადგან გზავნილი დოკუმენტები კუთვნილებისამებრ შესაძლოა გადაეცემოდა ტერიტორიულ დაქვემდებარებაში ისევე გამგზავნთ უბრუნდებოდათ, ეს უკანასკნელები თავის მხრივ ხელებს იბანდნენ აქაოდა ჩვენ მხოლოდ მოსკოვის მითითებებს ვასრულებთ, ფაქტიურად კი სარგებლობდნენ რა ზემოდაზღვეული განკარგულებით, შემოწმების დოკუმენტში მეტად მოხერხებულად და ტაქტიკური სვლით დებდნენ თავიდანვე სტრატეგიუ-

ლად გათვლილ ჩანაფიქრს. საარქივო მასალების დამუშავებისას მ. ჟვანია მოულოდნელად აწვდება სენსაციურ მასალებს, რომელიც ეხება საქართველოს სახელმწიფოს უშიშროების ამჟამინდელ მოქმედ მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ რუხაძეს და მის მკვიდრ ძმას. მასალები მეტყველებენ, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში ნიკოლოზ ალექსის ძე რუხაძე და მისი ალალი ძმა ცხოვრობდნენ აჭარაში (ბათუმში), როგორც პროფესიონალი კონტრაბანდისტები დანაშაულებრივ-ანტი-სახელმწიფოებრივ კავშირში იმყოფებოდნენ აჭარელ და თურქ კონტრაბანდისტ-მეგზურებთან (ხოდაკებთან), რომლებიც გარდა აქტიური კონტრაბანდისა, ხელს უწყობდნენ და საქმიან დახმარებას უწევდნენ ანტისაბჭოთა კონტრევოლუციურ ელემენტებს საქართველო-თურქეთის საზღვარზე არალეგალურად გადაყვანის საქმეში, რომელიც მიმართული იყო ას-ალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესების სახიანოდ.

გაოცებულმა ბატონმა მამია ჟვანიამ, ის-არგებლა იმით, რომ ნანახი მასალები არ იყო პირველი სპეც-განყოფილების კარტოთეკაში ფიქსირებული, ნ. რუხაძესა და მის ძმაზე არსებულ კომპრ-მასალებს უმტკივნეულოდ და ძალიან ოსტატურად იღებს არქივიდან და ასე იტოვებს პირად სარგებლობაში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტის შესახებ უფრო მოგვიანებით, როდესაც წლის დასაწყისში მინისტრი – ნიკოლოზ რუხაძე განათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და ამის შემდეგ მალე პატიმრობაში იქნა ყვანილი, უკვე უშიშროების სამინისტროს ცენტრალური აპარტის მთელმა ოპერატიულმა შემადგენლობამ შეიტყო დაუჯერებელი, მაგრამ ფაქტიურად სენსაციური ამბის შესახებ. წინამდებარე ნაწერის გამო მომყავს პირადად ბატონი მამია ჟვანიასთან შეძგარი საუბრის შინაარსი:

“ჩემს მიერ არქივიდან ამოღებული მასალების დღიდან რამდენიმე ასლი გადაეუღე და სრულ წესრიგში მოვიყვანე. გარკვეული ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე კომპრ-მასალები გენერალ რუხაძეზე მოკლე, მაგრამ შინაარსიანი მიმართვით გამეგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანისათვის. ვიმედოვნებდი, ნ. რუხაძის მიერ ასაღზარდა საბჭოთა საქართველოს საწინააღმდეგოდ ჩადგენილი ანტისაბჭოთა დანაშაულის გამომხეურებით შექმნილი სულ მცირეს მაინც, სახელდობრ: დაკავებული თანამდებობიდან მინისტრი ნ. რუხაძის განათავისუფლებას. ამ ქმედებით ჩამოვიშორებდი „მეგრელთა საქმის“ აქტიურ ზემოელ პიროვნებას, რომელიც ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ამ პროვოკაციისა. დარწმუნებული ვიყავით ამ საშუალებით გარკვეულად შემსუბუქდება მეგრელთა ხელდასაყვამე, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა.

კ. ჩარკვიანის სახელზე წერილის გაგზავნიდან არც ისე დიდი დრო იყო გასული, როდესაც მინისტრის რეფერენტმა გადმოძვალ: სასწრაფოდ ვხდებოდი გენერალ ნ. რუხაძეს.

მის შეკითხვაზე, რა წერილი გაეგზავნე მე ცეკას მდივანს კ. ჩარკვიანს – ვუპასუხე: დიახ, ამხანაგ ჩარკვიანს, ამ შემთხვევაში არა როგორც უშიშროების მუშაკმა, არამედ როგორც კომუნისტმა, პარტიული წესდების სრული შესატყვისობით მივწერე წერილი, რომელიც თქვენთვის ცნობილი გამხდარა. გენერალ რუხაძემ გამოეწვევდა შემომხედ და საუბარში უცბად ჩამერთო – თქვენ როგორც კომუნისტს, რა თქმა უნდა, ამის უფლება გქონდათ, მაგრამ მიწა იცოდეთ, რომ ის წერილი ამჟამად ჩემთან იმყოფება. ეს ბოლო სიტყვა გამარჯვებული კაცის ნიშნის მოგებით წარმოსთქვა. სხვა გზა არ მქონდა, შეუპოვრად შევეჭიდე: მინისტრო, – ვუთხარი მე, – როდესაც ამ მეტად საშიშ ნაბიჯს ვდგამდი, დეტალებში მქონდა გათვლილი ყველა მოსალოდნელი ვარიანტი უკიდურესობის კუთხითაც კი. მიწა ვითხარა, რომ გააზრებული ვარიანტის ერთ-ერთი მხარე დღევანდელი ჩემი შესვედრასაც ითვალისწინებდა.

**ბიორბი ხუფენია**  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი იფანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენების თაობაზე. მკითხველს ვაწუწებთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

დიდი სულმნათი მეცნიერის აღნიშნულ, უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მკითხველს.

თვითოველ ერის ისტორია დამყარებულია ხოლმე განსაკუთრებით წერლობით საბუთებსა და ნაშთებზე; მეცნიერების სხვა დარგები მხოლოდ დამატებით მასალას აწვდიან მას; მაგრამ უძველეს ხანაში, როცა ხალხს ჯერ მწერლობა შექმნილი არა აქვს, ისტორია თავის მასალებს მხოლოდ არქეოლოგიასა, ენათმეცნიერებასა და სარწმუნოება-მეცნიერებაში ჰპოვებს. ამ შემთხვევაში მათ დამატებითი-კი არაა, არსებითი მნიშვნელობა აქვთ.

მართალია, მეცნიერების საბუნდევროდ ზოგჯერ მეზობელ ერების საისტორიო თხზულებებში ცნობები მომსახურებელი ხალხის შესახებაც აღმოჩნდება ხოლმე და მკვლევარი ამ გვარ ცნობებს ზურგს არ შეაკვდევს, მაგრამ მაინც არქეოლოგია, ენათ-მეცნიერება და სარწმუნოებითი მეცნიერება რომ არ ეშველებოდეს, მარტო უცხო ერთა ცნობებით ისტორიკოსი რას გახდებოდა.

თვითოველ ხალხის ცხოვრების უძველეს დროიდან ჩვენამდის იარაღისა, ჭურჭლისა და სხვა ამგვარ ნივთების გარდა არაფერს არ მოუღწევია. ეს ნაშთები ჯერ არქეოლოგიამ უნდა აღაპარაკოს, ხოლო მერე ისტორიკოსსაც შეუძლია თავისთვის გამოიყენოს. მართალია არქეოლოგიის კვლევის თვისება საისტორიო კვლევაძიებისაგან არსებითად განიხილება: არქეოლოგია თავის ცნობებს უსახელო და უპიროვნო ნაშთებზე ამყარდება, — თუმცა ყველა სათვის (ცხადია, რომ ჭურჭლისა და იარაღის სხვადასხვა ახალი ნიმუშები რომელიმე ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების ნაწარმოები უნდა იყოს, მაგრამ რაკი მეცნიერებას არ შეუძლიან გამოარკვიოს, ვინ იყვნენ სახელდობრ ეს ნიჭით დაჯილდოებული პირები, თვით საგნებს აქცევს ყურადღებას და მათს წარმატებასა და განვითარებას საზოგადოების განვითარებად სთვლის, ანუ საზოგადო ნაწარმოებად მიიჩნია.

ვინ მიაგნო პირველად ცეცხლს, ვინ მოიგონა ქვის იარაღის მომზადება, ლითონის შემუშავება, ეს, ყოველთვის და ყველასთვის საიდუმლოდ დარჩება; ხოლო როდის გაიცნეს ადამიანებმა იარაღისა და ჭურჭლის მომზადება, სხვისგან შეიტყო ამა თუ იმ ერმა, თუ თვითონ მოიგონა, არქეოლოგიას ამის გამორკვევა შეუძლიან და ბევრგან გამორკვეული აქვს კიდევ.

ამ უკანასკნელ 20-30 წლის განმავლობაში არქეოლოგიამ ისეთი მტკიცე სამეცნიერო კვლევის მეთოდები შეიმუშავა, რომ მას შეუძლიან ქრონოლოგიურად სწორად, ან შედარებით, ან დაახლოებით გაანსაზღვროდეს, სრულებით სანდო ცნობები მოაწოდოს ხოლმე ისტორიკოსს. მას ბევრჯერ შეუძლიან გამოარკვიოს, ადგილობრივ არის გაკეთებული და გამოგონილი ნივთი, თუ უცხოეთიდან არის შემოტანილი და შეთვისებული. ცხადია, არქეოლოგია ისტორიის უძველეს ხანისათვის მთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ შედეგ დროისათვის, მაშინაც, როცა წერილობითი საბუთები ბლომად მოიპოვება ხოლმე, ამ მეცნიერების დარგს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებლადია საჭირო; იმიტომ რომ რაც

